პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გაგრძელების 36-ე წელი № 126 (10520) | პარასკევი, 1 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს განცხადება საკდესის კორესპონდენტისადმი (1-ლი გვერდი).

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს გამომგზავრება საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

ს. რიჟინაშვილი. — გამოფენის მუშაობის განახლების წინადღეებში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **ა. გოცირიძე.** — მეორთქმლავლე კომუნისტების შემოქმედებითი შრომის დღეები (მე-2 გვერდი).

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).

ა. კუსრაშვილი, ა. თომაძე. — კანონიერების დაცვის საფარით (მე-2 გვერდი).

მშვიდობისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის. მ. ბარათაშვილი. — ჩვენი ცხოვრების ყვავილები. **ქ. ოტიაშვილი.** — მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის. — **ბ. ...** — მათთვის ზრუნავს პარტია, ხალხი... **ლ. ვუნეცკაია.** — დედის სიტყვა. **ბ. ...** — ... ბის კეთილდღეობისათვის. **ნ. ...** — ... დობა ბავშვებს (მე-3 გვერდი).

ნ. შველიძე, ბ. თათარიშვილი. — იუგოსლავიის კინოფილმების ფესტივალი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

კაცობრიობა შეჰხარის მომავალ თაობას, ჩვენი ცხოვრების ულამაზეს ყვავილებს. ბავშვები ჩვენი იმედი, მომავალი, სიხარულია. მათთვის შრომობენ დედები და მამები, მათთვის ზრუნავს მთელი ხალხი. მშვიდობისმოყვარე ადამიანთა დაუღალავი შემოქმედებითი შრომა ემსახურება მოზარდი თაობისათვის კიდევ უფრო კარგი მომავლის შექმნას.

ბავშვებისათვის განსაკუთრებით დიდი უბედურებაა ომები. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად მილიონობით ბავშვი დაიღუპა, მრავალი მილიონი ბავშვი დარჩა უდედმამოდ და უსახლკაროდ. სიკვდილი, სიღატაკე, შიმშილი — აი რა მოაქვს ომებს. ამიტომ იბრძვიან ხალხები ომის წინააღმდეგ, ბავშვების დასაცავად.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებით პირველად 6 წლის წინათ აღინიშნა. მას შემდეგ იგი ყოველწლიურად აღინიშნება როგორც მშვიდობის ქალთა შემდგომი შემჭიდროების დღე, ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დაცვის დღე.

მიმდინარე წელს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელების ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, რომელმაც ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს დაუსახა მშვიდობიანი განვითარების გზები, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შენელების მიზნით საბჭოთა მთავრობამ მრავალი ახალი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული სამშვიდობო პოლიტიკის ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტიც, რომ უკვე დაიწყო და ხორციელდება ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა რიცხვის ახალი უფრო მნიშვნელოვანი შემცირება. ერთი წლის განმავლობაში სოციალისტურ მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს დაუბრუნდება და მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩაებმება კიდევ ერთი მილიონ ორასი ათასი კაცი. მათი შრომა გამოყენებულ იქნება კომუნიზმის მშენებლობის საჩქარებისათვის, მთელი ხალხის კეთილდღეობისა და ბავშვთა ნათელი მომავლის უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა ქვეყნის ბავშვებს დამკვიდრებული აქვთ ბედნიერი და საამური ცხოვრება. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ბავშვებისადმი. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი განათლება. დაწყებულია და მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება. ჩვენი ქალაქები და სოფლები დაფარულია საბავშვო დაწესებულებათა ქსელით. მშვენიერი საბავშვო ბაღები და ბაღები, კეთილმოწყობილი საბავშვო სახლები, პიონერთა სასახლეები, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები — ყოველივე ეს განკუთვნილია ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მოზარდი თაობის ჯანსაღი, კომუნისტური აღზრდისათვის.

თუ 1914-1915 სასწავლო წელს საქართველოში ყველა ტიპის სკოლაში 155.900 მოსწავლე იყო, მიმდინარე წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 700 ათასს აღწევს. ამავე პერიოდში მასწავლებლების რიცხვი დაახლოებით შვიდჯერ გაიზარდა. მთლიანად საბჭოთა კავშირში კი მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთი მილიონ შვიდასი ათასი მასწავლებელი ემსახურება. დიდი ყურადღება ექცევა სასკოლო მშენებლობას. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია საბელმწიფო ხარჯზე ქალაქად და სოფლად აშენდეს ახალი სკოლები დაახლოებით 4 მილიონი ბავშვისათვის.

ახლა, როდესაც ახლოვდება საზაფხულო არდადეგები, მოსწავლეებს გამოცდების შემდეგ ჯანსაღი დასვენებისათვის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე მათთვის გახსნილია პიონერთა ბანაკები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები.

მომავალი თაობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის გამოხატულებაა ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესება, ორსულობისა და მშობიარობის გამო ხელფასიანი შვებულების ხანგრძლივობის გადიდება, 16-18 წლის ასაკის მოზარდებისათვის 6-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლა, სკოლებსა და სასწავლებლებში სწავლის ქირის გაუქმება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება.

მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმე კარგად არის დაყენებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში, სადაც კაპიტალის ბატონობის ღელვისაგან განთავისუფლებული მშრომელები ბავშვებს ჯანსაღი ფიზიკური და გონებრივი განვითარების ყველა პირობას უქმნიან. მოზარდი თაობის სრულყოფილი აღზრდა სახალხო მთავრობების, კომუნისტური და მუშათა პარტიების ყოველდღიური ზრუნვის საგანია.

ასე როდია კაპიტალისტურ, დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში, სადაც ბავშვები მოკლებული არიან ბავშვობის ნამდვილ სიხარულს. ამერიკელი იმპერიალისტები ბავშვებს საომარი ისტერიის ვითარებაში ზრდიან და კაცთმოძულეობას უნერგავენ. მომავალ განგსტერების აღსაზრდელად იყენებენ პრესას, რადიოს, კინოს, ლიტერატურას, ხელოვნებას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად იყიდება ასი მილიონი „კომიკსი“ — ილუსტრირებული საბავშვო წიგნები, რომლებითაც ეწევიან ომების, ძალადობის, მძარცველობისა და მკვლელობის პროპაგანდას. ასეთი პროპაგანდის შედეგად სწრაფად იზრდება ბავშვთა დანაშაულობანი არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მთაზე დამოკიდებულ ქვეყნებშიც. კერძოდ გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ბავშვთა დანაშაულობანი 162 პროცენტით გადიდდა.

კაპიტალისტურ სამყაროში ბავშვების დიდი უმრავლესობა მოკლებულია ნორმალური აღზრდისა და განათლების მიღების შესაძლებლობას. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ცუდი ეკონომიური პირობების გამო სასკოლო ასაკის თითხმეტი მილიონი ბავშვი არ სწავლობს. ესპანეთში 10-12 წლის ბავშვებს იყენებენ მუშებად საფეიქრო და მინის მრეწველობაში, აგრეთვე მშენებლობებზე და მოზრდილი მუშის ხელფასის მხოლოდ 25 პროცენტს აძლევენ. ბრაზილიაში 5 წლის ასაკამდე ბავშვების 50 პროცენტი იხოცება. ერაყში იღუპება ახალშობილი ბავშვების 90 პროცენტი.

ბავშვების მდგომარეობა კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში კიდევ უფრო გაუარესდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. ამიტომ პროგრესული კაცობრიობა ხმას იმაღლებს მშვიდობის დასაცავად, ბავშვთა სიცოცხლის დასაცავად. ხალხები იბრძვიან ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, და ეს გასაგებიც არის. სსრ კავშირს სამშვიდობო ღონისძიებათა შედეგად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიუხედავად ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები მაინც არ იღებენ ხელს საომარ მზადებაზე, აიარაღებენ გერმანელ რევანშისტებს, ქმნიან სამხედრო ბლოკებს და კვლავ ახალი ომისაკენ მოუწოდებენ.

ასეთ ვითარებაში, პროგრესული კაცობრიობა არ შეანელებს მშვიდობისათვის ბრძოლას, ყვილოფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ომის საშიშროებისაგან დაიცვას ბავშვთა ხიცოცხლე, უზრუნველყოს მათი წარმატები მომავალი.

მოლდავეთის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა

 КИШИНЕВИ, 29 მაისი. (საკდესი). მოლდავეთის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა. ძირითადად კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაითესა შარშანდელზე თითქმის 70 ათასი ჰექტარით მეტი სიმინდი.

ერთისამად გადიდდა ჰიბრიდული სიმინდის ნათესი ფართობი.

რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში სიმინდი უკვე თანაბრად აღმოცენდა.

4 ივნისს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეხუთე მოწვევის საქალაქო საბჭოს VI სესია.

სესია შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწყარმოებს იქვე საღამოს 7 საათიდან.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს განცხადება

საკდესის კორესპონდენტისადმი

ბელგრადი, 30 მაისი (საკდესი). იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრების წინ საკდესის ბელგრადელი კორესპონდენტის თხოვნით გააკეთა შემდეგი განცხადება:

„მე ჩემს ამხანაგებთან ერთად საბჭოთა მთავრობის მიწვევით ვიზიტით მივემგზავრები საბჭოთა კავშირში. ჩვენ მივემგზავრებით დიდი სიამოვნებით, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ გვექნება შესაძლებლობა არა მარტო ყოველმხრივ გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი სხვადასხვა პრობლემაზე, რომლებიც ჩვენს ორივე ქვეყანას აინტერესებს, და საერთაშორისო ხასიათის პრობლემებზე, არამედ ასევე გავეცნოთ უდიდეს წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა ომისშემდგომ პერიოდში.

მეორე მხრივ, ჩვენ უდიდესი სიამოვნებით მივდივართ საბჭოთა კავშირში, როგორც ქვეყანაში, რომელთანაც გვაკავშირებს ერთობლივი ბრძოლა და ერთობლივი ტანჯვა წარსულში, მივდივართ ქვეყანაში, რომელსაც ჩვენი ხალხები დიდად აფასებენ უდიდესი მსხვერპლის გამო, რაც მან გაიღო უკანასკნელ ომში ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ჩვენი გამგზავრება საბჭოთა კავშირში უნდა განვიხილოთ, როგორც ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის მეტად სწრაფი ნორმალიზაციისა და მეგობრული კავშირისა და თანამშრომლობის დამყარების შედეგი. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ბელგრადის დეკლარაციამ და მოლაპარაკებამ, რომელსაც ჩვენ მისი ხელმოწერის დროს ვაწარმოებდით საბჭოთა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და, ამრიგად, ახლა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ დეკლარაციის ყველა დებულება, რომელიც ჩვენს ურთიერთობას შეიხება, მთლიანად შესრულებულია.

მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო აგრეთვე ის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობამ სავსებით ნათელი და სტაბილური ხასიათი მიიღო, როგორც ორი თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს ურთიერთობამ, და რომ ამ წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ყველა ის ელემენტი, რომელსაც შეიძლება საეჭვოდ გაეხადა ჩვენი ურთიერთობის ასეთი ხასიათი. ამით მე მსურს ამავე დროს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საფუძველს მოკლებულია ზოგიერთების ყველა ვარაუდი, თითქოს იუგოსლავიას მოელოდეს თავისი დამოუკიდებელი მდგომარეობის დაკარგვის საფრთხე.

ჩვენს შორის აღარ არსებობს არავითარი დიდი და ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა. ჩვენ წარმატებით მოვახდინეთ თითქმის ყოველივე იმ უარყოფითის ლიკვიდაცია, რაც წარსულში დაგროვდა, ორივე მხარემ გავაკეთეთ დასკვნები აქედან და გზა გავიკაფეთ ყოველმხრივი თანამშრომლობისაკენ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. ჩვენმა ახლანდელმა ეკონომიურმა თანამშრომლობამ მეტად დადებითი შედეგები მოგვცა, და უნდა ვთქვა, რომ ჩვენ სავსებით კმაყოფილი ვართ ამ შედეგებით, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ზღვარი და შესაძლებლობა გვაქვს შემდგომ გავაფართოოთ და გავაღრმავოთ ეკონომიური თანამშრომლობა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ურთიერთნდობას.

რაც შეეხება ჩვენს კულტურულ თანამშრომლობას, მისი განვითარება მხოლოდ იწყება. მე მიმაჩნია, რომ არ არსებობს არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდეს და განმტკიცდეს, რადგან სსრ კავშირს მოეპოვება უდიდესი საგანძური კულტურის მიღწევებისა, რომლებსაც დიდად აფასებს ჩვენი ხალხი. ეს იქნება აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი იმ საქმეში, რომ კიდევ უფრო კარგად გავიცნოთ ერთმანეთის მიღწევები კულტურის სხვადასხვა დარგში.

რაც შეეხება ჩვენს თანამშრომლობას საგარეოპოლიტიკურ საკითხებში, მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ის შედეგები, რომლებიც მიღწეულია დღემდე, რადგან საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას აქვთ იდენტური შეხედულებანი ისეთ დიდ საკითხებზე, როგორიც არის, მაგალითად, განიარაღება, კოლექტიური უშიშროება, მშვიდობიანი და აქტიური თანაარსებობა, მშვიდობის განმტკიცება. საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა და სხვ. თუ ჩვენ სხვადასხვა შეხედულება გვაქვს ზოგიერთ საერთაშორისო მოვლენაზე, ამ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს, ჩემი აზრით, ნორმალურია იმ სახელმწიფოების ურთიერთობაში, რომლებიც დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებენ.

იგულისხმება, რომ საგარეოპოლიტიკურ საკითხებში თანამშრომლობის განვითარების პროცესში შეგვიძლია მივაღწიოთ იდენტურ შეხედულებებს იმ პრობლემებზეც, რომლებზეც ამჟამად ჩვენ სხვადასხვა აზრი გვაქვს. თუ ანალიზს გავუკეთებთ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ჩვენი მთავრობა ახორციელებს ამ ბოლო დროს და რომლის მთავარი მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის შენარჩუნება, მშვიდობიანი თანაარსებობის დამყარება სახელმწიფოებს შორის, განურჩევლად მათი შინაგანი სისტემებისა, მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება საეჭვოდ იქნას მიჩნეული ჩვენი მოგზაურობის მიზანი და სურვილი დავამყაროთ უფრო მტკიცე თანამშრომლობა იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირში გამგზავრების წინ იუგოსლავიის ხალხთა სახელით მხურვალე სალამს ვუძღვნი საბჭოთა კავშირის ხალხებს და ბედნიერებასა და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ მათს განვითარებაში“.

„ყაზახეთის მაგნიტკა“

ტემირ-ტაუ. „ყაზახეთის მაგნიტკის“ — ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე ქალაქ ალმა-ატიდან ჩამოვიდა ახალგაზრდა პატრიოტების პირველი ჯგუფი.

ახალგაზრდა მობალიხეებისათვის უკვე მომზადებულია საერთო საცხოვრებელი, რომელშიც 650 კაცი მოთავსდება. კიდევ მზადდება საცხოვრებელი შენობები 700 კაცისათვის. ეწყობა სასადილოები, მაღაზიები. ამას წინათ გაიხსნა კლუბი კინოდარბაზითა და ბიბლიოთეკით. სპორტსმენებისათვის მოწყობილია ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედანი.

ტემირ-ტაუს ხელოვნურ ტბაზე მოყვარულთ შეუძლიათ ივარჯიშონ წყალჯოგარდობაში, დაიპირონ თევზი. ახალგაზრდა მშენებლებს ფართო შესაძლებლობა აქვთ განაგრძონ სწავლა. ტემირ-ტაუში არის საღამოს სკოლები, საღამოს სამშენებლო ტექნიკუმი, იხსნება ქიმიური ტექნიკუმი. იმისათვის, რომ ჩამოსულებმა უფრო სწრაფად შეეძინონ საჭირო პროფესია, იქმნება კალატოზების, ხუროების, მებეტონეების და სხვა სპეციალობათა კურსები.

სურათზე: ახალჩამოსულები ეცნობიან ქარხნის მშენებლობას. მარჯნივ თბოელექტროცენტრალის მშენებლობის უფროსი სტუმართა მწარმოებელი არკადი შერეშევსკი.

ფოტო პ. ფედოროვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოვში ჩავიღნენ სომხური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი

29 მაისს სპეციალური მატარებლით მოსკოვში ჩამოვიდა სომხური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მეორე დიდი ჯგუფი.

ჩამოსულთა შორის არიან ლენინაკანის ა. მრავიანის სახელობის დრამატული თეატრი, სომხეთის სახელმწიფო ფილარმონიის მუსიკალური კოლექტივები, სიმფონიური ორკესტრი, სახელმწიფო გუნდი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი, სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი, გუსანური სიმღერის ანსამბლი. ამავე დროს მოსკოვში ჩამოვიდნენ მწერლები და მხატვრები.

მოსკოველები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ სომეხი ხალხის წარმომადგენლებს. სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ნ. სურინი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. მ. მარკოვი, ცენტრალური საბავშვო თეატრის დირექტორი ქ. ი. შახაზიზოვი დედაქალაქის საზოგადოებრიობის სახელით მიესალმნენ ჩამოსულთ.

სომეხმა მწერალმა ს. ზორიანმა და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელმა ტ. ალთუნიანმა საპასუხო სიტყვებში მადლობა გადაიხადეს გულთბილი, გულითადი მიღებისათვის. (საკდესი).

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს გამომგზავრება საბჭოთა კავშირში

ბელგრადი, 30 მაისი. (საკდესი). დღეს გვიან საღამოს (შუაღამისას მოსკოვის დროით) მატარებლით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში გავლით, სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით მიემგზავრება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო.

პრეზიდენტ ტიტოსა და მის მეუღლესთან ერთად სსრ კავშირში მიემგზავრებიან საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ კარდელი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კოჩა პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი მიალკო ტოდოროვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე იაკობ ბლაჟევიჩი და სხვა პირები.

გადაუჯდომელი მიმოსვლა მოსკოვსა და ბელგრადს შუა

2 ივნისს პირველად გაიხსნება გადაუჯდომელი საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლა მოსკოვსა და ბელგრადს შუა.

დედაქალაქის კიევის ვაგზლიდან მოსკოვ-ჩოპის № 7 ჩქარ მატარებელთან კვირაში სამჯერ რეგულარულად ივლის რბილი ვაგონი, რომლითაც მგზავრები გადაუჯდომლად იმგზავრებენ მოსკოვიდან იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადამდე.

ბელგრადიდან მოსკოვში პირდაპირი გადაუჯდომელი მიმოსვლის ვაგონი აგრეთვე სამჯერ ივლის კვირაში. პირველი მატარებელი, რომლის შემადგენლობაში ასეთი ვაგონი იქნება, ბელგრადიდან 5 ივნისს გამოვა. (საკდესი).

გამოფენის მუშაობის განახლების წინადღეებში

სრულიად საკავშირო-სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის განახლების დღის მოახლოება იგრძნობა მისი დიდი ტერიტორიის ყველა კუთხეში და პავილიონში. წესრიგზეა მოყვანილი განათების ქსელი. გაზონებში გამოჩნდა ყვავილები, რომელთა ნაწილი ახლად არის დარგული. მიმდინარეობს შესანიშნავი შადრევნების უკანასკნელი გამოცდა. გამოფენის ტერიტორიის ნახევარზე მეტი — ეს არის მწვანე ნარგაობა, ლამაზი გაზონები.

ლამაზი სანახავია შადრევნების საპარადო მოედანი.

როგორც მთავარ, ისე სხვა პავილიონებთან მოდიან ახალ-ახალი ექსპონატებით დატვირთული ავტომანქანები. ძირითადად კი ყველა ექსპონატი უკვე განლაგებულია სტენდებზე, რომლებიც გემოვნებით არის გაფორმებული.

დამთავრდა გამოფენის მონაწილეობის კანდიდატთა შერჩევა. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მთავარ საგამოფენო კომიტეტში შემოსული იყო დოკუმენტები 100 ათას კანდიდატზე.

გამოფენაზე წელს ფართოდ იქნება წარმოდგენილი რსფსრ, რომლის 9 ოლქი უჩვენებს თავის მიღწევებს სოფლის მეურნეობის დარგში, გასული წლის 3 ოლქის ნაცვლად.

გამოფენის მუშაობაში ბევრი რამ იქნება ახალი. მაგალითად, შემოღებულია გამოფენაზე ექსკურსანტთა ჩამოსვლის ახალი წესი. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების უკეთ შესწავლის მიზნით გამოფენაზე ექსკურსანტთა ყოფნის დრო გადიდებულია 7 დღემდე. გამოფენის ექსკურსანტებად პირველ რიგში რეკომენდებული იქნებიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმების გამგეები, სპეციალისტები და სოფლის მეურნეობის ნოვატორები — ისინი, რომლებიც ნამდვილად უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობაში ყოველივე ახლისა და პროგრესულის აქტიური პროპაგანდისტები და ორგანიზატორები.

ახალია ისიც, რომ წელს ექსკურსანტთა ჯგუფების შეადგენლობაში იქნებიან ჩამორჩენილი მეურნეობების წარგზავნილნიც.

მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა განიხილა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილების ჩვენების წესი და ფორმა. კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანახარჯების სწორი აღრიცხვის აუცილებლობას. პავილიონების მიღებისა დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აგრეთვე ექსპოზიციებში იმ მნიშვნელოვან ღონისძიებათა სრულად ასახვას, რომლებიც დასახა პარტიის XX ყრილობამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის ახალი მკვეთრი აღმავლობისათვის.

სხვა პავილიონებთან ერთად კომისიამ მიიღო საქართველოს სსრ პავილიონი, რომლის სტენდებსა და ექსპონატებზე, დიაგრამებსა და სხვა მაჩვენებლებში ასახვა ჰპოვეს გამოფენის მონაწილე ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების თავდადებული შრომის შედეგებმა.

ბევრი მეურნეობა, ორგანიზაცია, საწარმო, სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, ცალკეული მოწინავეები პირველად მიიღებენ მონაწილეობას გამოფენაში. ესეც გამოფენის ერთ-ერთი თავისებურებაა.

დაამთავრეს უკანასკნელი მზადება ექსკურსიამძღოლებმა, მებაღეებმა, ელექტრიკოსებმა, საზოგადოებრივი კვების ქსელისა და ვაჭრობის მუშაკებმა, რომლებიც მოემსახურებიან გამოფენის მონაწილეებსა და ექსკურსანტებს.

წელს გამოფენის მონაწილეთათვის გაცილებით უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები იქნება შექმნილი. რკინიგზის სადგურებიდან, სამდინარო და საჰაერო პორტებიდან ისინი მანქანებით გაემგზავრებიან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სპეციალურ სასტუმროებში. საქართველოდან გამოფენის მონაწილეებისა და ექსკურსანტებისათვის გამოყოფილია № 1 სასტუმროს № 2 კორპუსი, რომელიც გამოფენის ახლოს არის მოთავსებული. კორპუსში მუშაობს ბუფეტი (მეზობელ კორპუსში კი სასადილოც), შხაპები, სართულების მორიგეთა მაგიდებზე არის ტელეფონები. ექსკურსანტებს მოემსახურება „სოიუზპეჩატის“ კიოსკი, წითელი კუთხე ტელევიზორით. სასტუმრო მთლიანად მზად არის დედაქალაქის სტუმართა მისაღებად.

კეთილი იყოს მათი ჩამობრძანება!

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

პარტიული ცხოვრება

მეორთქლმავლე კომუნისტების შემოქმედებითი შრომის დღეები

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მეორთქლმავლეები კისრულობდნენ გადიდებულ ვალდებულებებს, მაგრამ მათ არ განამტკიცებდნენ საქმით, ზოგჯერ დაპირება დაპირებად რჩებოდა. პარტიერო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს; სწორედ ამის შედეგად თბილისის საორთქლმავლო დეპოს ორთქლმავალთა გუნდებში იყო შრომის დისციპლინის დარღვევის, მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ჩაშლის შემთხვევები.

უკანასკნელ ხანს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში შესამჩნევი გარდატეხა მოხდა. პარტორგანიზაცია საქმიანად, მტკიცედ ჩაუდგა სათავეში მუშების, მემანქანეების, ინჟინერ-ტექნიკოსების ყოველდღიურ ამზარდ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, უნარიანად ხელმძღვანელობს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიმართულია XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების უზრუნველყოფისაკენ.

მეორთქლმავლეებმა ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ვალდებულება იკისრეს — ორთქლმავლების აწევით შეკეთებათაშორისი გარბენა ნორმით გათვალისწინებული 70 ათასი კილომეტრის ნაცვლად აიყვანონ 130 ათას კილომეტრამდე, მძიმეწონიანი შემადგენლობით გადაიყვანონ ყველა მატარებლის 80 პროცენტი და დაზოგონ საწვავი სულ ცოტა 6 პროცენტის რაოდენობით.

დეპოს პარტიული კომიტეტი (მდივანი დ. კვარაცხელია), ორთქლმავალთა გუნდების პარტბიურო (მდივანი ვ. შელიავა) ყოველი ღონისძიებით ცდილობენ აუმაღლონ ადამიანებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, მიაღწიონ სოციალისტური შეჯიბრების მასობრივობას.

ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლევა მემანქანე-ინსტრუქტორი, კომუნისტი ნიკოლოზ გვენეტაძე. მემანქანეები ამბობენ ნ. გვენეტაძეზე სიტყვით და საქმით ნამდვილი აგიტატორიაო. ასეც არის. მისი სიტყვა და საქმე განუყოფელია. იგი სისტემატურად აწყობს მომზიდველ, ცხოვრებასთან დაკავშირებულ საუბრებს, მოურიდებლად ამხილებს ნაკლოვანებებს, ფართოდ განაზოგადებს მოწინავეთა გამოცდილებას. ამას წინათ მან საუბარი მოაწყო მემანქანე რ. მელიქსეტიანის მიღწევათა შესახებ.

კომუნისტ ნ. გვენეტაძის ორთქლმავალთა კოლონა მოწინავეთა რიგებშია. კოლონამ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი დიდი გადაჭარბებით შეასრულა, მარტო პირველ კვარტალში 136 ტონა საწვავი დაზოგა და 148.000 მანეთის ეკონომია გასწია. ნ. გვენეტაძის მატარებელთა ბრიგადის მძიმეწონიანი შემადგენლობის რეისები უწუნო, უავარიო და მისაბაძია.

— თავდადებული შრომით ვუპასუხოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, — ასეთი ლოზუნგით მიეძართებიან კომუნისტ ნ. პეტრენკოს მძიმეწონიანი მატარებლები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისაკენ. ნ. პეტრენკოს ბრიგადამ პირველ კვარტალში გეგმის ზვითი 10.000 ტონა სახელმწიფო ტვირთი გადაზიდა. უკეთესად იმუშავა აპრილსა და მაისში. მოწინავე მემანქანე ნ. პეტრენკო აგიტატორიც არის. ის საagიტაციო საუბრების დროს ყურადღებას ამახვილებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, ფართოდ განაზოგადებს მოწინავე მემანქანეების გ. აზნაურაშვილის, შ. ჭყოიძის გამოცდილებას.

კომკავშირელი მემანქანე ო. ბარნაბიშვილი პარტიის XX ყრილობის დღეებში მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად. ამას წინათ ბარნაბიშვილმა ძველ, გამოცდილ მემანქანესთან კომუნისტ ა. კვინიკაძესთან ერთად თბილისიდან სადგურ . სანაინში უწუნოდ ჩაიყვანა მძიმეწონიანი მატარებელი.

ორთქლმავალთა გუნდების კომუნისტები დიდ შემოქმედებითს შრომას ეწევიან. აღგიონიერი პარტიული ორგანიზაცია 217 წევრსა და 6 კანდიდატს აერთიანებს, კომუნისტები უშუალოდ წარმოების პროცესთან არიან დაკავშირებულნი და წარმატებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებებით შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. მათ არ ჩამორჩებიან კომკავშირელები. 71 კომკავშირელიდან ვერცერთს ვერ ნახავთ, რომელიც ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებდეს. კომუნისტების შრომითი მამაცობის მაგალითებს ბაძავენ უპარტიოებიც.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია რკინიგზის გამტარუნარიანობის ზრდა. სწორედ ამიტომ ორთქლმავალთა გუნდების პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მძიმეწონიანი მატარებლის ტარების განვითარებას, მის მასობრივობას. ეს საკითხი რამდენჯერმე განხილა პარტიულმა ორგანიზაციამ, დასახა სათანადო ღონისძიებანი. ამ დღეებში პარტბიუროს მოაწყო ტექნიკური კონფერენცია, მიძღვნილი მძიმე წონის მატარებელთა ტარების საკითხისადმი. მოხსენება გააკეთა დეპოს უფროსმა ს. ოდილავაძემ.

თუ პირველ კვარტალში გადაყვანილი იყო 96 მძიმე წონის მატარებელი, მეორთქლმავლეებს მეორე კვარტალში განზრახული აქვთ გადაიყვანონ 158, მესამეში — 173. ორთქლმავლის საღღეღამისო გარბენა გეგმით გათვალისწინებულია 233 კილომეტრი, ფაქტიურად კი დღეისათვის 243 კილომეტრს შეადგენს, გაიზარდა აგრეთვე ორთქლმავლის ტექნიკური სიჩქარე.

თბილისელ მეორთქლმავლეთა კოლექტივი ყრილობის აღსანიშნავად ამიერკავკასიის რკინიგზის მეორთქლმავლეთა გუნდებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა. ამ გამარჯვების ორგანიზატორები კომუნისტები არიან.

მაგრამ მეორთქლმავლეები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ყველაფერს აკეთებენ ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ა. გოცირიძე.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი ე. პანკოვი საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. **სურათზე:** ხარატი ი. პანკოვი თავის სამუშაო ადგილზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

მეღიორაციელთა ნარმაჯება

ფოთი. (საკ. კორ.). კოლხიდის თვალუწვდენი ჭაობების დაშრობა წარმატებით მიმდინარეობს. რაც დრო გადის, ახალი მაღალმოსავლიანი ფართობები ემატება დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ და ძვირფასი ტექნიკური კულტურების სახნავ-სათესფონდს. ეს კოლხიდელ მელიორატორ მშენებელთა დასახურებაა.

კოლხიდმშენის კოლექტივი წლების განმავლობაში ინარჩუნებს მელიორატორთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში სპატიო ადგილს. ამას წინათ აქ მიიღეს ცნობა, რომ წელს პირველ კვარტალში მიღწეული მაჩვენებლების მიხედვით კოლხიდმშენის კოლექტივი გამარჯვებულად ცნეს და მას მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ჭაობების დაშრობის სახელმწიფო დავალება კოლხიდელმა მშენებლებმა პირველ კვარტალში 112,5 პროცენტით შეასრულეს.

წარმატებით იბრძვიან ისინი მეორე კვარტალის დავალებათა შესასრულებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი და მესამე სამშენებლო კანტორების კოლექტივთა მაღალნაყოფიერი, შეწყობილი მუშაობა.

მექანიზატორებს 130 ტრაქტორისტი შეემატა

ყვარელი. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ენისელის სახელოსნო სასწავლებელმა 130 ტრაქტორისტი მოამზადა. მსმენელთა უმრავლესობა ტრაქტორის მართვას სრულყოფილად დაეუფლა. ფრიადოსანთა შორის არიან შ. გრიგალაშვილი, მ. ჭიტაშვილი, გ. აბზიანიძე, ლ. ბენაშვილი, ს. ბეგრიბანოვი, ე. ბაიდოშვილი, გ. ქვათაძე და სხვები.

ამ დღეებში მოხდა ტრაქტორისტების გამოშვება. ახალგაზრდა მექანიზატორები სამუშაოდ გაეგზავნენ კახეთისა და გარეუბნის რაიონებში.

კანონიერების დაცვის საფარქვეშ

როდესაც დუშეთის რაიონის სოფელ მაღაროსკარის სასადილოს გამგეს ვარდიშვილს რამდენიმე ათასი მანეთი დანაკლისი აღმოუჩინეს და მისი საქმე რაიონის პროკურატურას გადასცეს, მაღაროსკარელ მშრომელებს, ცოტა არ იყოს, გულს მოეფოფთათ — ქვეყანას კიდევ ერთი „მჭამელი“ მოაკლდებაო.

მაგრამ ვარდიშვილი ასე უცებ როდი აპირებდა ფარხმალის დაყრას. აქეთ ეცა, იქით ეცა, გაძვრა, გამოძვრა და, თუმცა ვერავინ დაიფიცავს, რომ რაიმე საეჭვო შემჩნეოს მისსა და სასამართლო-პროკურატურის მუშაკებს „ერთიერთდამოკიდებულებაში,“ მაინც ისეთი მარიფათი გამოიჩინა, რომ სულ მალე, როგორც იტყვიან, წყლიდან მშრალი ამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურორის თანაშემწის გ. ბიბილაშვილის მიერ შედგენილი და პროკურორ ა. გეგიას მიერ დადასტურებული საბრალდებო დასკვნა დამნაშავისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მესამე მუხლისა და საქართველოს სსკ 117 მუხლის შეფარდებას ითვალისწინებდა, სასამართლო პროცესზე ბიბილაშვილმა მოულოდნელად დამნაშავისათვის მხოლოდ 117 მუხლის შეფარდება მოითხოვა, ხოლო მოსამართლე ცქიტიშვილს რატომღაც მხედველობიდან გამორჩა მთავარი ძოწმის ხ. ხიტაღლიშვილის დაკითხვა. სასამართლომ გამფლანგველს მიუსაჯა 2 წლით პირობითი სასჯელი, და საქმეც ამით დასრულდა.

დუშეთის რაიონის პროკურატურისა და სასამართლოების პრაქტიკაში ასეთი მაგალითი ერთი და ორი როდია. საკმარისია კაცმა თვალი გადაავლოს აქ წარმოებულ საქმეებს, რომ დარწმუნდეს, თუ რა სერიოზულ დარღვევებს, საბჭოთა კანონიერების დამახინჯების რა მეუწყარებელ ფაქტებს აქვს ადგილი მათს მუშაობაში.

— როგორ თუ!.. — ალბათ შემოგვეკამათებიან რაიონის პროკურორი ა. გეგია და მისი თანაშემწე გ. ბიბილაშვილი, — განა პროკურატურისა და სასამართლოების მიუკერძებელი, უმჯობესი მუშაობის შედეგი არ არის ის, რომ უკანასკნელ ხანებში დუშეთის რაიონში დანაშაულთა რიცხვი შემცირდა?

ეს რომ ნამდვილად ასე იყოს, ჩვენ მივესალმებით ამ ამბავს, მაგრამ — ფაქტები სხვას მეტყველებენ.

ავიღოთ თუნდაც სოფელ მჭადიჯვრის პურის საცხობის გამგის მ. ომიაძის საქმე. ეს საქმე იმის დამადასტურებელი ფაქტია, თუ რა უგულოდ და არაკეთილსინდისიერად დებს სასწორზე დუშეთის რაიონის ზოგიერთი სახალხო მოსამართლე უდანაშაულო ადამიანის ბედიღბალს.

რაიონის პროკურატურამ საქმე აღძრა მჭადიჯვრის კოოპერატივის საწყობის გამგის ცაბულაშვილის, როგორც 2.770 კილოგრამი ფქვილის მიმთვისებლის, წინააღმდეგ. ცაბულაშვილმა ეს ფქვილი მითვისა ომიაძის სახელზე აღრიცხულ საბუთის შედგენის წყალობით. მაგრამ დუშეთის პირველი უბნის სასამართლომ (მოსამართლე გ. გათენაშვილი) დამნაშავედ რატომღაც ომიაძე ცნო და მას საამისო მსჯავრიც გამოუტანა. მართალია, სასამართლო პროცესზე დადასტურდა ომიაძის მიერ ფქვილის მიღების საბუთის სიყალბე, მაგრამ სასამართლო რატომღაც არ „გამოჰკიდებია“ ამ ფაქტს. ომიაძისადმი წაყენებული ბრალდება დაფუძნებულ იქნა გამომცხვარი პურის ზედმეტობაზე, რის საბუთიც აგრეთვე ყალბად შედგენილია. დასჯილი აღმოჩნდა სრულიად უდანაშაულო ადამიანი, მაშინ როცა სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების დამტაცებლები დღესაც თავისუფლად დადიან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა სასამართლო არა მარტო დამსჯელი ორგანოა, არამედ მასების აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაც არის. სასამართლოს არ უნდა მოსდიოდეს „შეცდომები“, რადგან ეს „შეცდომები“ მეტ წილ შემთხვევებში საბელიზწეროა იმ ადამიანებისათვის, რომელთა მიმართაც იგი იქნა დაშვებული. ვ. ი. ლენინი, აღნიშნავდა რა საბჭოთა სასამართლოს ობიექტურობასა და ჰუმანურობას, ამბობდა, რომ უმჯობესია ათი დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოსო. ლენინის ეს მითითება ნათლად გამოხატავს იმას, თუ რა დიდი გულისხმიერებითა და ჰუმანურობით უნდა უდგებოდნენ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები თვითეულ ადამიანს, თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს, თუ რა პრინციპულობას, საქმის ცოდნასა და მიუკერძოებლობას უნდა იჩენდნენ ისინი სისხლის სამართლის დანაშაულის ყოველი ცალკე შემთხვევის მიმართ.

დუშეთის რაიონის პროკურატურისა და სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი კი, როგორც ჩანს, სულ სხვა ყაიდაზე აგებს თავის მუშაობას. საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, საგამომძიებლო და პროცესუალური ნორმების დარღვევა, ყოვლად გაუმართლებელი ტენდენციურობა და ამით მოქალაქეთა ღირსების აბუჩად აგდება — აი ის თვისებები, რითაც მათი საქმიანობა ხასიათდება.

ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც რაიონში საკმაოდ გახმაურებული „ცხოველნედლეულდამზადების“ დუშეთის რაიონული კანტორის მუშაკთა საქმე. ეს საქმე შეკოწიწებულ იქნა რაიონის პროკურორის ა. გეგიას და მისი თანაშემწის გ. ბიბილაშვილის მიერ არქივიდან ამოქექილი და უკვე არაერთხელ შემოწმებული მასალების საფუძველზე. ამასთან გეგიამ და ბიბილაშვილმა განგაში ატეხეს, თითქოს „ცხოველნედლეულდამზადების“ დუშეთის რაიკანტორის მუშაკებმა და მათ შორის კანტორის დირექტორმა ა. ჯორჯაძემ გაფლანგეს მილიონნახევარი მანეთი სახელმწიფო თანხა. დაიწყო საქმის საჩქარო გამოძიება, რაც საქმეში ჩაუხედავ კაცსაც კი გააოცებს თავისი ულაზვოობითა და კურიოზებით. დაპატიმრებულ იქნა რევიზორი შარაშენიძე იმ მოტივით, რომ თითქოს იგი ფარავდა გაფლანგველებს, ბაშინ როცა პროკურატურას ჯერ დადგენილიც არ ჰქონდა არა თუ გამფლანგველთა ვინაობა, არამედ თვით გაფლანგვის ფაქტიც. ოთხი თვის შემდეგ პასუხისგებაში მისცეს კანტორის 10 სხვა თანამშრომელიც, ხოლო ა. ჯორჯაძის მიმართ საქმე აღიძრა მისი დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ. საბჭოთა მოქალაქის უფლებებისა და ღირსების შემლახველი ეს აქტი განხორციელდა ა. გეგიას უშუალო ხელმძღვანელობით. „საქმე“ გაიბერა 11 ტომამდე და შეაწრიალა არა მარტო რაიონი, არამედ რესპუბლიკური სასამართლო და პროკურატურის ორგანოებიც. მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოსულმა კომისიამ, რომლის მუშაობასაც არ დაასწრეს არცერთი ბრალდებული, დუშეთის პროკურატურის მიერ ატეხილი განგაში უსაფუძვლოდ გამოაცხადა, რადგან აღმოაჩინა, რომ სინამდვილეში „ცხოველნედლეულდამზადების“ დუშეთის კანტორაში არავითარი მილიონნახევარი მანეთი არ გაფლანგულა. საქმე კი მაინც ატარეს, ატარეს და ბოლოს მცხეთის რაიონის პროკურატურაში ამოაყოფინეს თავი. მცხეთის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე კვიციანი) საფუძვლიანად განიხილა ეს საქმე და პასუხისგებაში მიცემული „ცხოველნედლეულდამზადების“ დუშეთის კანტორის მუშაკები გაამართლა. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ მიიღო მცხეთის სახალხო სასამართლოს ეს განაჩენი და იგი ძალაში დატოვა.

ისმება კითხვა — რა მოტივით ხელმძღვანელობდა დუშეთის პროკურატურა, როცა აკოწიწებდა ამ „საქმეს“? რას მივაწეროთ პროკურატურის ასეთი დაინტერესება „ცხოველნედლეულდამზადების“ დუშეთის კანტორის საქმიანობის გამოკვლევით? რა სურდათ პროკურორ ა. გეგიას და მის თანაშემწეს გ. ბიბილაშვილს, კერძოდ, კანტორის დირექტორის, კომუნისტ ა. ჯორჯაძისაგან, რომელიც საბოლოოდ მსხვერპლად შეეწირა ამ უაზრო და აღმაშფოთებელ დევნას? ამ საქმეს შუქი უნდა მოეფინოს. იგი უეჭველად უნდა გახდეს სათანადო ორგანოების შესწავლის საგანი.

ზედმეტი არ იქნება, თუ აქვე აღვნიშნავთ, რომ პარტიის დუშეთის რაიკომი, რომელიც მოვალეა ყურადღებას აქცევდეს რაიონის პროკურატურის საქმიანობას, სამწუხაროდ, სათანადო ინტერესს არ იჩენს და თითქმის არავითარ პარტიულ კონტროლს არ ახორციელებს მისი მუშაობისადმი.

სხვა მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება დუშეთის პროკურატურისა და სასამართლოების პრაქტიკიდან, მაგრამ ჯერჯერობით ამითაც დავკმაყოფილდებით. ეს საქმეები თავიდან შესწავლასა და გადასინჯვას მოითხოვს, დუშეთის პროკურატურისა და სასამართლოს ზოგიერთმა მუშაკმა რაიონის მშრომელთა თვალში ავტორიტეტი და ნდობა დაკარგა. ან რა ნდობით უნდა სარგებლობდეს, ვთქვათ, სახალხო მოსამართლე, რომელიც თვითონ ჩადის სიყალბეს და ამით ჩირქსა სცხებს საბჭოთა მართლმსაჯულებას. ასეთი აღმაშფოთებელი შემთხვევა იყო სოფელ ჟინვალის კოოპერაციული თანხების მიმთვისებელთა და მათ ხელისშემწყობთა საქმის განხილვის დროს, რომელიც მოახდინა ფასანაურის სახალხო სასამართლომ მოსამართლე ზ. ცქიტიშვილის თავმჯდომარეობით. აქ ღარშეკვეხებით იმას, რომ ამ საქმეში დუშეთის პროკურატურამ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი და ოპერატიულობა და მისი უყურადღებობისა თუ წყარუების მეოხებით სახელმწიფო ქონების ზოგიერთმა მიმტაცებელმა დაპატიმრებამდე კიდევ მოასწრო რამდენიმე ათეული ათასი მანეთის გაფლანგვა. ამჯერად საქმის მხოლოდ მეორე მხარეს ვეხებით, კერძოდ იმას, რომ მოსამართლე ცქიტიშვილმა სასამართლო ოქმიდან ამოხია ზოგიერთი მოწმის ჩვენება და ისინი სხვა, მისთვის სასურველი ყალბი ჩვენებებით შეცვალა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსამართლე ცქიტიშვილმა სიყალბე ჩაიდინა აგრეთვე სისხლის სამართლის ორი სხვა საქმის განხილვის დროს, სახელდობრ, სასამართლო პროცესების ოქმებში აღნიშნა, თითქოს მსჯავრდადებულ პირებს დაენიშნათ სახანონო დამცველები, მაშინ როცა სინამდვილეში არც ერთ ბრალდებულს ამ პროცესებზე თვალიც არ მოუკრავს დამცველისათვის.

ეს ფაქტები, რომელნიც თვითონ შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულს, აშკარად მეტყველებენ იმაზე, თუ სადამდეა მისული დუშეთის რაიონის ზოგიერთი მოსამართლის უპასუხისმგებლობა. მით უფრო გაოცებას იწვევს ის, რომ ყოველივე ამის შემდეგ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ცქიტიშვილს მხოლოდ საყვედური გამოუცხადა.

ასეთი შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია დუშეთის ზოგიერთი მოსამართლის და პროკურატურის მუშაკის საქმიანობაში. თვითონ პროკურორის თანაშემწე ბიბილაშვილი თავის დროზე მოხსნილ იქნა დუშეთის რაიონის პროკურორის თანამდებობიდან ასეთივე სიყალბის ჩადენისათვის. მათ არც ახლანდელი პროკურორი ა. გეგია და მოსამართლე გ. გათენაშვილი ჩამოუვარდებიან. მაგალითად, მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში მოსამართლე გათენაშვილმა პროკურატურიდან მიიღო გამოძიებით დამთავრებული და პროკურორის მიერ დადასტურებული საქმე მოქალაქე ჩანადირის ბრალდების შესახებ. დანიშნულ იქნა სასამართლოს სხდომის დღე, მაგრამ მოულოდნელად, ყოველგვარი წინასწარი დადგენილების გამოუტანლად, ეს საქმე კვლავ გეგიას ხელში აღმოჩნდა. გეგიამ იქიდან ამოგლიჯა რამდენიმე ფურცელი, საქმე თავისებურად „შეალამაზა“ და ისე დაუბრუნა სასამართლოს.

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ იმას, რომ მოლმდე აღიკვეთოს ასეთი უკანონო მოქმედებანი.

პროკურატურა, საბჭოთა საზოგადოების, სოციალისტური მართლწესრიგის დამცველი ორგანოა. იგი მოწოდებულია შეუპოვრად იბრძოლოს საბჭოთა კანონიერების დაცვისათვის.

სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმეების აღძვრისა ან განხილვის დროს ნებით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომები ავტორიტეტს ულახავს საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებს, დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამ „შეცდომების“ წარმომქმნელ მიზეზებს, მით უმეტეს პროკურატურისა და სასამართლოების ცალკეული მუშაკების მიერ შეგნებულად ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულობებს. უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ არც ერთმა ასეთმა უმსგავსოებამ დაუსჯელად არ ჩაუაროს მოსამართლეს, პროკურატურის მუშაკებს და მათი ხელისდამფარველებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ სოციალისტური კანონიერების ფანმტიკიციებისათვის, უზრუნველყოფენ ისეთ მართლწესრიგს, რომლის დროსაც ჩვენი საზოგადოების ყოველ პატიოსან მოქალაქეს შეუძლია დამშვიდებით ცხოვრობდეს და შრომობდეს, ღრმად დარწმუნებული, რომ მის უფლებებსა და ინტერესებს საიმედოდ იცავენ საბჭოთა კანონები.

ამიტომ ესოდენ საჭიროა, რომ საბჭოთა კანონებს ვიყენებდეთ გონივრულად, რომ საბჭოთა მართლმსაჯულებას ემსახურებოდნენ მაღალკვალიფიციური, პატიოსანი და პრინციპული ადამიანები, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი დიდი პასუხისმგებლობა ჩვენი ხალხისა და საბჭოთა კანონების წინაშე.

ა. კუსრაშვილი,
ა. თოდაძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღვკვეთოთ მეცხოველეობისადმი უდარდელი დამოკიდებულება“

„კომუნისტის“ 29 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ჩხოროწყუს რაიონში მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა განიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, კრიტიკა სწორად ცნო და დასახა ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. სოფ. ლეწურწუმის, სტალინის სახელობის და ახუთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს ლ. კვარაცხელიას და გ. სანაიას, ამავე კოლმეურნეობათა ფერმების გამგეებს ტ. ჭურწუმიას და ს. ხიტაიას პირუტყვის დიდი რაოდენობით სიკვდილიანობისა და წველადობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. სოფ. ლეწურწუმის, სტალინის სახელობის და ახუთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებმა ლ. კვარაცხელიამ და გ. სანაიამ, ამავე კოლმეურნეობათა ფერმების გამგეებმა ტ. ჭურწუმიამ და ს. ხიტაიამ პირუტყვის დიდი რაოდენობით სიკვდილიანობისა და წველადობის გეგმის შეუსრულებლობისათვის გამოეცხადათ საყვედური საყრიცხვო ბარათში შეტანით. სოფელ ახუთის და სოფელ ლეწურწუმის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ა. ხურცილავას, ა. უბირიას, სოფლების ქვედა ჩხოროწყუს ჩხოროწყუს და ზუბის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს გ. კვაშილავას, ა. ლემონჯავას, შ. ლემონჯავას მიეთითთ.

„ფორმალიზმის ბუდეობაში“

„კომუნისტის“ 28 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო სოფელ ჭალადიდის ოქტომბრის სახელობის და სოფელ პატარა ფოთის კოლმეურნეობების მუშაობა, აღნიშნული იყო სოციალისტური შეჯიბრებისაღმი ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა გაანიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი და კრიტიკა სწორად ცნო. სოფელ ჭალადიდის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ნიქაბაძე, რომელმაც თავი ვერ გართვა კოლმეურნეობას ხელმძღვანელობას, კოლმეურნეთა საერთო კრებამ სამუშაოდან გაათავისუფლა. საქალაქო კომიტეტის ბიუროს თავის დადგენილებაში დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრებისა და გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის გაუმჯობესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის

★

დედის სიტყვა

ნრავალეროვანი საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას ეწევა. იგი ცოდნისა და ენერგიის არ ზოგავს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების უფრო ბედნიერი მომავლისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ ზრუნვას იჩენენ ხალხის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი დასვენების წინა დღეებსა და უქმეების წინა დღეებში სამუშაო დღის ხანგრძლივობის ორი საათით შემცირების შესახებ, 16-18 წლის მოზარდთათვის 6-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ და სხვ.

მე 49 წლისა ვარ, 6 ქალიშვილი და 4 ვაჟიშვილი მყავს. როგორც მრავალშვილიანი დედა, ვიღებ სახელმწიფო დახმარებას. ვმუშაობ თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკაში. ჩვენს ოჯახს ბედნიერად ცხოვრების ყველა პირობა აქვს შექმნილი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ჩემს ტბას ვუურთებ მთელი მსოფლიოს დედებს, რომლებიც აქტიურად იბრძვიან ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ჩვენ, საბჭოთა დედები, მოვითხოვთ, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის ბომბების წარმოება, შემცირდეს შეიარაღება, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხებს.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე დედებს გვაერთიანებს ერთი იდეა — სიყვარული ჩვენი შვილებისადმი, ბავშვებისადმი, მშვიდობისადმი. არავის არ მივცემთ ნებას გაიჩაღოს ახალი ომი.

ო. ვენეციანაი,
გმირი დედა, ქ. თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის მუშა.

შვილების კეთილდღეობისათვის

ხალხებისათვის ომს ყოველთვის უბედურება მოაქვს. მე კარგად მახსოვს სამამულო ომის მრისხანე დღეები. მაშინ ჩემი ქმარი იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, რომ დაეცვა ჩვენი შვილების ბედნიერი ცხოვრება.

ორმოც წელს გადავაბიჯე და მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო, ვემსახურო ჩემი შვილების ბედნიერებას.

მე და ჩემი ქმარი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში ვმუშაობთ, ექვს ვაჟსა და სამ ქალიშვილს ვზრდით. ყოველ დილით, როცა სამუშაოზე მივიჩქარით, ვხედავთ ათასობით თბილისელის მოლიმარ სახეებს. ისინიც ჩვენსავით შრომობენ თავიანთი შვილების კეთილდღეობისათვის. ჩვენ ყველას გვინდა მყუდრო ცხოვრება არ დაირღვეს, გვინდა ვუცქიროთ ჩვენი შვილების ბედნიერებას.

ჩვენი ბავშვებისათვის ყოველ წელს შენდება ახალი სკოლები, ბაღები, სტადიონები, პარკები. და სხვ. ნეექვსე ხუთწლედში თბილისში მრავალი ახალი სკოლა, სამბავშვო ბაღი და ბაგა აშენდება.

კარგად ცხედავ, როგორ იზრდება, მდიდრდება და მშვენიერდება ჩვენი სამშობლო. ჩემს შვილებს ყოველთვის ვასწავლი გაუფრთხილდნენ ამ სამდიდრეს, იბრძოლონ მშვიდობისათვის.

ე. ჭინჭარაძე,
ცხრა შვილის დედა.

ბედნიერი ბავშვობა

ფოტოეტიუდი ვ. გინზბურგისა.

მათთვის ზრუნავს პარტია, ხალხი...

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენას ბავშვები ყვავილებივით მოეფინენ.

— სცენაზე არიან კოჯრის საშუალო სკოლის უმცროსკლასელები, — აცხადებს კონფერანსიე.

მუსიკა ქართულ მელოდიას ასრულებს. გუნდს პირველკლასელი ოლია მარინენკო და სკოლამდელი ასაკის პელაგია დანიშკინა გამოეყვნენ. მათ ცოცხლად და მიმზიდველად შეასრულეს სიმღერა კინოფილმ „ჭრიჭინაფან". ნორჩი შემსრულებლები ტაშით დაჯილდოვეს. მაყურებელთა ალტაცება უსაზღვრო იყო, როცა მეორეკლასელმა სლავა მაცევსკიმ ცეკვა „ქართული" შეასრულა. პატარა ბიჭუნა ხელმეორედ გამოიწვიეს. ტაში არ ცხრება. ხალისით იმეორებს ცეკვას სლავა. შემდეგ მან ოსტატურად შეასრულა ცეკვა „განდაგან". მაყურებლები განცვიფრებულნი დარჩნენ მისი მკვირცხლი მოძრაობით. ხალხში ჩურჩულით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: ნეტა ვისიაო.

— ჩემია, ის გოგონებიც ჩემი არიან, ყველანი ჩემი არიან, — თქვა კოჯრის პირველი სამბავშვო სახლის დირექტორმა მ. მგალობლიშვილმა. გვერდში მჯდომმა მას განცვიფრებით შეხედა: „როგორ, ამდენი ბავშვი?".

სლავა სამი წლისა იყო, როცა სამბავშვო სახლში მიიყვანეს, გოგონები კი ახალი ფეხადგმულები იყვნენ. მათ მშობლები არა ჰყავთ, ისინი უდედმამობას არ გრძნობენ, მათზე ზრუნავენ კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი ხალხი.

პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობით იზრდებიან ამავე სამბავშვო სახლში მაყვალა ქალაბაშვილი და მერი ჯაფარიძე, რომლებსაც მამები სამამულო ომში დაეღუპათ, მაგრამ უპატრონოდ როდი დარჩნენ. მაყვალა ახლა წარჩინებით გადადის მეშვიდე კლასში, ხოლო მერი საშუალო სკოლას ამთავრებს. სამბავშვო სახლში ისინი მეგობრობის მაღალი გრძნობით, კომუნისტური სულისკვეთებით იზრდებიან.

სამბავშვო სახლის აღსაზრდელთათვის ყველა პირობაა შექმნილი: სუფთა ნათელი ოთახები, ძვირფასი ავეჯი, კარგი ტანსაცმელი, გემრიელი საჭმელები და სხვ. გართობა არ აკლიათ და კულტურული დასვენება.

სამბავშვო სახლში აღზრდილებს დიდხანს არ ავიწყდებათ თავიანთი კერა. ისინი აქ ხშირად მოდიან. მათ აღმზრდელები კვლავ მეგობრულად, ხვდებიან და გონივრულ რჩევას აძლევენ.

ანდა როგორ დავიიწყებს თავის აღმზრდელებს, მეოთხე სამბავშვო სახლს მეთერთმეტეკლასელი ხუთოსანი მოსწავლე ვიქტორ ბუროვი. მას მშობლები არც კი ახსოვს, სამამულო ომში დაეღუპნენ. სულ პატარა იყო, აქ რომ მოიყვანეს. ამას წინათ მას 17 წელი შეუსრულდა. სამბავშვო სახლში სხვებთან ერთად დაბადების დღის აღსანიშნავი ზეიმი მოუწყეს. სახლის დირექტორმა გ. გრძელიძემ და კოჯრის საშუალო სკოლის დირექტორმა მ. შუბითიძემ მას საჩუქრები მიართვეს. მშობლიურად გადაკოცნეს და წარმატება უსურვეს ცხოვრების ფართო ასპარეზზე, სადაც იგი სულ მალე გამოვა, როცა სამწყოს ატესტატი ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებთან და ქალიშვილებთან მხარდამხარ დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს.

ვინ იცის ჩვენი ვრცელი ქვეყნის რომელ კუთხეში მოუწევს ვიქტორს შრომა, მაგრამ ერთი კი ცხადია: მას არ დაავიწყდება პატარა საკურორტო დაბა კოჯორი, მშობლიური კერა — სამბავშვო სახლი და აღმზრდელები, მეგობრები, ისე როგორც ეს არ ავიწყდებათ ამ სახლიდან წასულ დარეჯან ზედგინიძეს, ნინო ჩიტოვას, ალექსანდრა პილიპენკოს, პენრიხ გოლანდიას, ფიალა იაკიმიდის და სხვებს. ზედგინიძე ახლა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. ამავე ინსტიტუტის სტუდენტები არიან ჩიტოვა და იაკიმიდი. ისინი ერთი წლის შემდეგ დაამთავრებენ უმაღლეს სასწავლებელს. ა. პილიპენკომ გასულ წელს ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და ორეხოვო-ზუევოს პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობს. ჰ. გოლანდიამ კი ვერცხლის მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლას საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში განაგრძობს.

და როცა იწყება ზაფხულის არდადეგები, როცა ყველა სტუდენტი შინ ბრუნდება, კოჯორის სამბავშვო სახლებში აღზრდილებიც გულნაკლულნი როდი რჩებიან. მათიც ხომ აქვთ მშობლიური კერა, მათთვის ხომ კარი მუდამ ღიაა, ისინიც უბრუნდებიან კოჯორს, როგორც მერცხლები თბილ ქვეყნებს. და მაშინ უნდა ნახოთ აღმზრდელებისა და აღზრდილების მშობლიური ხვევნა-კოცნა, მამაშვილური მოგონება განვლილი დღეების, ფიქრი ბედნიერ აწმყოსა და უფრო ბრწყინვალე მომავალზე.

ნიურა ჩუმაჩენკო, ანა კირსანოვა და ელენე მასლაკოვაც კოჯორის მეოთხე სამბავშვო სახლში იზრდებოდნენ. შემდეგ ისინი მქსოველის პროფესიას დაეუფლნენ და ახლა გორის ბამბეულის კომბინატში მუშაობენ, ხოლო ანატოლი შჩერბაკოვი და ვიქტორ სუხოვი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატები არიან. ისინი დამოუკიდებელი ცხოვრების ფერხულში ჩაებნენ, ნაყოფიერი შრომით ბედნიერად ცხოვრობენ.

მაგრამ შვილს განა მშობლები ავიწყდება, ანდა მშობლებს — შვილი? ამ დღეებში მეოთხე სამბავშვო სახლის დირექტორი გ. გრძელიძე ესტუმრა კიროვის სახელობის ქარხანას. აქ ხომ მისი ოცამდე აღზრდილი მუშაობს. მოიკითხა ისინი, გიგო, რომ ყველა კარგად მუშაობს, ბედნიერად ცხოვრობს და ქარხნის ხელმძღვანელებს სთხოვა მათთან ერთად სწვეოდნენ სამბავშვო სახლს. სტუმრებს კოჯორში შეხვედრა მოუწყეს. ქარხნის დირექციამ მადლობა გადუხადა სამბავშვო სახლის აღმზრდელებს, ხოლო მათს აღზრდილებს, რომლებიც ახლა ქარხანაში მუშაობენ, წარმატებისათვის სიტყვები გადასცეს.

გაივლის რამდენიმე წელი, და სლავა მაცევსკი, ოლია მარინენკო და პელაგია დანიშკინაც, დღეს რომ ბედნიერად იზრდებიან კოჯორის სამბავშვო სახლში, ჩადგებიან კომუნიზმის მშენებელთა რიგებში.

ვ. გოზალიშვილი.

★ ★

მშვიდობა ბავშვებს

მოის ნაკადული ხალისით მორბის,
ტალღებს ამაყად მოათამაშებს,
გადმოიარა სიმღერით კორდი:
სიცოცხლე ბავშვებს,
მშვიდობა ბავშვებს!

ჩვენზე პარტია ზრუნავს და გვიცავს,
მზე მარად მნათი თავს დაგვაშაშებს,
ამას გუგუნებს თვით დედამიწაც:
სიცოცხლე ბავშვებს,
მშვიდობა ბავშვებს!

დე, თაბისუფლად სუნთქავდეს ყველა,
გავფანტავთ ღრუბლებს საავდროდ ამლილს,
დიდება ხალხთა გულების ღელვას,
დიდება ხალხთა გულების კავშირს!

საერთო ძალით დავამხოთ მტერი,
ქვეყნად ომოლი კვლავ არვინ დარჩეს,
ჰიქმეთი მღეროს,
რობსონი მღეროს:
სიცოცხლე ბავშვებს,
მშვიდობა ბავშვებს!

მაშ თავისუფლად ამოდი, ჰანგო,
ხმას შეუერთდი, მთა-ბარს რომ ავსებს,
ხალხთა გულებში ნერგივით დავრგოთ:
სიცოცხლე ბავშვებს,
მშვიდობა ბავშვებს!

ალაზა ხაიაური.

მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის

მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობა დღეს აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვითარება გაუმჯობესდა, და ახლა ყველა აღიარებს, რომ უკანასკნელ ხანს მიღწეულია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელება, ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიული ძალები ჯერ კიდევ განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, ატომური და წყალბადის ბომბების მარაგის დაგროვებას და სხვ.

მსოფლიოს ყველა მშრომელი დედა, რომელთათვის არ არსებობს უფრო კეთილშობილური და წმიდა მიზანი, ვიდრე ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, აღფრთოვანებით მიესალმება და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ხარჯების შემცირებისათვის.

გამალებულ შეიარაღებაზე მილიარდობით თანხების გაღება კაპიტალისტურ ქვეყნებში იწვევს მშრომელთა გაღატაკებას, უმუშევრობას, ბავშვთა მდგომარეობის გუარესებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიუხედავად მოსყიდული პროპაგანდისტების მტკიცებისა, თითქოს ამერიკაში ცხოვრების დონე მაღალი იყოს, სკოლის ასაკის 6 მილიონამდე ბავშვს საშუალება არა აქვს ისწავლოს. ამერიკის სოფლის მეურნეობასა და საქალაქო მეურნეობაში დაქირავებულ მუშაობს ეწევა სამ მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი. მკურნალობა მუშათა ოთხი მეხუთედი ჯანმრთელობისათვის მაგნე წარმოებებში მუშაობს.

ბავშვთა შრომა, როგორც ყველაზე იაფი, გამოყენებულია იაპონიაში, თურქეთში. იაპონიის ფაბრიკებსა და ქარხნებში მომუშავე მუშათა საერთო რიცხვის თითქმის მეოთხედს მოზარდები და ბავშვები შეადგენენ. იაპონიაში ჯერ კიდევ ხშირია ბავშვებით ვაჭრობა. დასავლეთ გერმანიაში ახალგაზრდობა იძულებულია დაადგეს ბორტმოქმედების გზას. დასავლეთ ბერლინში მარტო 1954 წლის ნახევარში ჩაფენილ ბორტმოქმედებათა 15 პროცენტი მოდიოდა 14-21 წლის ახალგაზრდებზე, ხოლო 3 პროცენტი — 14 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებზე.

დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა თურქეთში, სადაც წლის განმავლობაში 400 ათასამდე ახალშობილი იხოცება.

სულ სხვა მდგომარეობაა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებში. ჩვენს დიდ სამშობლოში — საბჭოთა კავშირში ბავშვები გარემოსილნი არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი მზრუნველობით.

პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები გამსჭვალულია მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვით.

დასვენების წინადღეებსა და უქმეების წინადღეებში სამუშაო საათების შემცირება, ქალებისათვის ორსულობის გამო შვებულების გახანგრძლივება, პენსიების საქმის ძირეული გაუმჯობესება, ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად და სხვ. მიმართულია ამისაკენ, რომ მშრომელებს უფრო მეტი თავისუფალი დრო და საშუალება ჰქონდეთ ბავშვების აღზრდისათვის.

კეთილმოწყობილი სასწავლებლები და პიონერთა სასახლეები, ბავშვთა ტექნიკური სადგურები და ბიბლიოთეკები, სამბავშვო ბაღები, პარკები და მოედნები მრავალფეროვანი აღმზრდელობითი და გასართობი ღონისძიებებით, ბავშვთა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები — ყველაფერი, რაც კარგი და ლამაზია ჩვენს ქვეყანაში, ბავშვებს ეკუთვნით.

ჩვენი სახელმწიფო დიდ ძიბრუფველობას იჩენს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მიეცათ 1955 წელს 73.695 ათასი მანეთი.

ყოველწლიურად იზრდება სამშობიარო სახლების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების, სამბავშვო ბაგებისა და ბაღების ქსელი. საქართველოში 1928 წელს სამშობიარო სახლებში მხოლოდ 224 საწოლი იყო, 1955 წელს კი საწოლების რაოდენობა 3.100-მდე გაიზარდა. სამბავშვო ბაგებში 1928 წელს 500 ადგილი იყო, ხოლო 1955 წელს 14.831. საგრძნობლად გადიდდა სამბავშვო ბაღების რიცხვიც. 1955 წელს რესპუბლიკაში მუშაობდა 536 სამბავშვო ბაღი, სადაც 30.100-ზე მეტი ბავშვი იზრდება.

ჩვენი სახელმწიფო უდიდეს თანხებს ხარჯავს ბავშვთა გამოჯანსაღებელ ღონისძიებებზე. კურორტებზე არსებობს მრავალი კეთილმოწყობილი სამბავშვო სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები. წელს ჩვენი ქვეყნის კურორტებზე 6 მილიონზე მეტი ბავშვი დაისვენებს. კერძოდ საქართველოს საუკეთესო კურორტებზე ბაკურიანში, ბახმაროზე, ქობულეთში, გაგრაში, კოჯორში, წყნეთში და სხვ. დაისვენებს 100 ათასზე მეტი ბავშვი. მათ შორის 40 ათასზე მეტი თბილისის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვი. საექსკურსიო და ტურისტულ მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებს 25 ათასამდე ბავშვი. ქალაქებში დარჩენილ ბავშვთათვის ეწყობა პიონერთა საქალაქო ბანაკები, პარკები და ბაღები, ბავშვთა მოედნები.

მთელი ხალხის მუდმივი მზრუნველობითარიან გარემოსილი ბავშვები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა და სახალხო მთავრობებმა. ბავშვებს შეუქმნეს ნორმალური სწავლისა და ყოველმხრივი განვითარების ყველა პირობა. განათლებულ, კულტურულ, ბედნიერ მოქალაქეებად იზრდებიან ბავშვები ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, ალბანეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნებში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს ინდოეთმა, ბირმამ, ინდონეზიამ, ეგვიპტემ, სირიამ, ლიბანმა, სუდანმა და წარსულში კოლონიურმა მთელმა რიგმა სხვა ქვეყნებმა, რამაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ბავშვთა პირობების გაუმჯობესებას.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ქვეყანა არ განთავისუფლებულა კოლონიური ჩაგვრისაგან. აფრიკის კონტინენტის დიდი ნაწილი, აზიის, აგრეთვე ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა კვლავ კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაშია. ამ ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონე მეტად დაბალია და ბავშვთა მდგომარეობა აუტანელი.

ყველა ქვეყნის პროგრესული ქალები ენერგიულად იბრძვიან მშვიდობისა და ბავშვთა ბედნიერებისათვის, თავიანთი მთავრობებისაგან მოითხოვენ მშვიდობიანი გზით გადაჭრან ყველა საერთაშორისო სადავო საკითხი.

საბჭოთა კავშირის ქალები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მუდამ იდგნენ და დგანან მშვიდობისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, ისინი დაუღალავად იბრძოლებენ ბავშვთა ბედნიერებისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ქეთევან ოტიაშვილი.

ზაფხულის პირველი დღეა, პირველი ივნისი. მრავალრიცხოვანი მოზინადრეებით სავსე ეზოში ჟრიამულია.

აივნებზე გამოფენილან მეზობლები, ესაუბრებიან, ახალ ამბებს უზიარებენ ერთმანეთს.

ეზო ბავშვებით არის სავსე. ზოგი ბურთს თამაშობს, ზოგი დაჭერობანას, ზოგი სახლობანაა, ნაწილი „ბაღს" აკეთებს. ერთ ახლად ფეხადგმულ გოგონას დედოფალასათვის ჩაუყენია ხელი და მიწაზე მიათრევს. მეორე განცალკევებულა და განცვიფრებით შესცქერის ხის ტოტზე მოფრთხიალე ჩიტს, მზეს, ცას, სახლს, ადამიანებს...

ეზოში შემოჭრილმა მსუბუქმა მანქანამ საერთო ყურადღება მიიპყრო.

მანქანიდან ახალგაზრდა კაცი გადმოხტა, ქალს ხელი შეაშველა, შეფუთული ფრთხილად ჩამოართვა და მანქანიდან გადმოიყვანა.

ყველანი მათ შემოეხვივნენ.

— გაიზარდოს!

— იბედნიეროს!

— თქვენი გული გაეხარებინოს.

— მაჩვენეთ, მაჩვენეთ, როგორი ბიჭია!

— თმა ოქროსფერი აქვს, თვალები ცისფერი, — ამბობს დედა.

— ძნელი ყოფილა შვილის გაჩენა?

— ძალიან... თუმცა მგონი აღარც მახსოვს, — ბედნიერი ღიმილით დახედა შეფუთულს დედამ.

— უჰ! წუთი დღედ მეჩვენებოდა, აღარაფერს დავეძებდი, ოღონდ ნათელა გადარჩენილიყო, — ამბობს ლევანი და ფრთხილად მიჰყავს ცოლშვილი ბინისაკენ.

— გამრავლოს დედაშვილობის გამჩენმა. ექვსი ვაჟი და ოთხი ქალი მომელოცოს შენთვის.

— დეიდა თეომ თავი დაილოცა, — აკისკისდა ეთერი.

— რატომ არა! მე ახლა მინდა სიცოცხლე, ჩემს ნაშიერში გახარება. იმდენს ვეჩიჩინები ჩემს შვილებს და შვილიშვილებს, ანამ ოთხ-ოთხ შვილს მაინც არ გავაჩენინებ. აბა რა გგონია, — მიუბრუნდა თეო მოლიმარ ვაჟიშვილს, — სამშობლო მიყვარსო რომ იძახით და სუფრაზე დიდი ყანწით სვამთ მის სადღეგრძელოს, მარტო დღეგრძელობა კი არ ყმარა! აბა რათ გვინდა ეს სასახლეები?

— პირობები... — წამოიწყო მამაკაცმა.

— სუ! არ გამიგონო! შენ მთელი ჩუსტი არ გეცრესებია და შენი შვილი კი გალაქულ სახლებში ვადი-გამოდის! ეს კინოო, ეს თეატრიო, ეს დიდი ასასახლეებიო. აღარ გახსოვს, ცივი მჭადის ნატეხს რომ ჩაიგდებდი ხოლმე ჩანთაში და სკოლაში რვა კილომეტრზე დადიოდი?

მეზობლები ახალგაზრდა მშობლებს ყოველგვარ დახმარებას დაპირდნენ და მარტო დატოვეს.

ხელიხელგადახვეულნი დასცქერიან ნათელა და ლევანი თავიანთ პირველ „ვაჟკაცს".

ოცნებამ გაიტაცა...

როგორი გაიზრდება მათი გია? რა ნიჭი გამოიჩენს? რა გზას აირჩევს?

ჩვენი ცხოვრების ყვავილები

იქნებ ეს პაწაწა მომავალი დიდი, გამოჩენილი ადამიანია. — ვინ იცის! სულ 10 დღისაა გია და უკვე ათასი უნილავი ძაფით გადაება მშობლების გულს...

სიყვარულით დასცქერენ ნათელას და ლევანი თავიანთ პირმშოს და ადგენენ მათს ოჯახში მკვიდრად შესული პატარა ნიჭიკოს მომავლის გეგმებს.

სწორედ დროზე მოუსწრო ნათელას ორსულობის „გამოშვებულების ახალმა კანონმა. ხუმრობაა? ასთორმეტი თვისუფალი დღე! აქედან ორმოცდაექვსი დღე კიდევ დარჩა. ამ ხანში წამოჩიტავს კიდეც პატარა. შემდეგ კი სახელმწიფო მეხმარება, სამბავშვო ბაგა, ბაღი, სკოლა...

ერთი ბავშვი მართლაც რაა! სულ მცირე ოთხი მაინც უნდა შემოუსხდეს ამ სუფრაზე. არა უშავთ რა, დაიზრდებიან. ნათელა და ლევანი ახალგაზრდები არიან, ჯანმრთელნი სავსენი. ორივე მუშაობს, აი რა კოხტად მოაწყეს თავიანთი პატარა ბინა.

ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები: გადიდდება რეალური ხელფასი, მოზარდთათვის უკვე შემოღებულია ექვსაათიანი სამუშაო დღე, გაფართოვდება საზოგადოებრივი სასადილოებისა და სამრეცხაოების ქსელი. მოეწყობა სკოლებში ბავშვებისა ცვება შეღავათიან ფასებში, გაიხსნება სკოლა-ინტერნატები, გაიზრდება ბავშვთა სანატორიუმებისა და პიონერთა ბანაკების რიცხვი...

ჩვენში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბავშვები ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღები აღიზარდონ.

ოთახში შავებში ჩაცმული ქალი შემოვიდა. ახალგაზრდებს ვაჟის დაბადება მიულოცა, სევდანარევი სიამოვნებით დახედა პატარას, გაზრდა და ბედნიერება უსურვა.

ამ ქალის სამი ვაჟიც ჩვენს ეზოში დაიბადა, აქ აიდგეს ფეხი, დავაჟკაცდნენ... მაგრამ ომის ხანძარმა შთანთქა მათი სიცოცხლე, დედის იმედი და სიხარული. და განა მარტო ამ დედის? — მრავალი მშობლის იმედი და ახალგაზრდობის სიცოცხლე შეეწირა იმ საშინელ ხანძარს.

ასეულათასობით ბავშვი დარჩა უდედმამოდ, უსახლკაროდ... ასეულათასობით ბავშვი განიცდის ახლაც კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში ახალი, კიდევ უფრო სასტიკი ომისათვის მზადებას საშინელებას, — შიმშილს, გაჭირვებას... იქ ბავშვები ათი-თორმეტი წლის ასაკიდან უკვე შრომის მძიმე უღელს ეწევენ, ხოლო მათი უმეტესობა ამ ასაკამდეც ვერ ცოცხლობს. მაგალითად, აფრიკაში მცირეწლოვან ბავშვთა სიკვდილიანობა ორმოცდაათ პროცენტს აღწევს.

ბავშვებო!

ჩვენი ცხოვრების ნაზი ყვავილებო!

ჩვენი სიცოცხლე და ბედნიერება!

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია კაცობრიობის მომავალი, ცდილობს დაიცვას ბავშვები ომისაგან, სიღატაკისაგან, შიმშილისა და სიკვდილისაგან.

სწორედ ამიტომ გამოეხმაურა ასე გულმხურვალედ მთელი პროგრესული კაცობრიობა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებას 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ გამოცხადების შესახებ.

ყოველ პირველ ივნისს ხდება შემოწმება ბავშვების სიცოცხლისათვის მებრძოლთა რიგებისა და ყოველი შემოწმება გვიჩვენებს ამ რიგების უმაგალითო ზრდას.

საბჭოთა კავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ერთად მტკიცედ დგას ხალხთა მშვიდობის სადარაჯოზე, ბავშვების სიცოცხლის სადარაჯოზე. იგი ყველა ზომას მიმართავს, რომ აშოროს კაცობრიობას ახალი ომის საშინელება.

ასე ფიქრობენ გიას სასთუმალთან დახრილნი ნათელა და ლევანი. ასე ფიქრობენ მეზობელი ეზოების ათასობით მშობლები.

მშვიდი საღამო ეშვება ქალაქზე. პატარა გოგონას დასაძინებლად შეჰყავს შინ თავისი დედოფალა. ცოტა კიდევ, და ამ ეზოში, მთელ ქალაქში სიჩუმე დაისადგურებს.

ტკბილ ძილს მიეცემიან ბავშვები.

ძილინებისა, პატარებო!

თქვენი მშობლები, მთელი თქვენი ქვეყანა ფხიზლად დარაჯობს თქვენს ტკბილ ძილს, სიმშვიდეს, სიცოცხლესა და ბედნიერებას.

მარიკა ბარათაშვილი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დიადი ზრუნვა

◎ **ჩინეთის** სახალხო რესპუბლიკაში 2 ათასზე მეტი სამბავშვო ბაღია. მხოლოდ პარტიკავშირებმა მოკლე ვადაში შექმნეს 4 ათასზე მეტი ბაგა და 2 ათასზე მეტი ოთახი ძუძუთა ბავშვების გამოსაკვებად. ჩინელ ბავშვებს აქვთ სამბავშვო ლიტერატურის საკუთარი გამომცემლობა, რომელმაც ექვს წელიწადში გამოუშვა სამი ათასზე მეტი ახალი წიგნი.

◎ **პოლონეთის** სახალხო რესპუბლიკაში ექვსწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად აშენდა 1.514 სკოლა, 500 სამბავშვო ბაღი, 258 ბაგა, 32 სამშობიარო სახლი, 439 კონსულტაცია, 20 დიდი სასპორტო ნაგებობა.

◎ **ბულგარეთის** სახალხო რესპუბლიკაში ბავშვთა სიკვდილიანობა უკანასკნელ 10 წელიწადში 50 პროცენტით შემცირდა. განსაკუთრებით შემცირდა სიკვდილიანობა გადამდები ავადმყოფობებისაგან.

ომამდე ბულგარეთში თითქმის არ იყო სამბავშვო ბაგები, 1953 წელს მათმა რიცხვმა 306-ს მიაღწია, სადაც 8.960 ბავშვი იმყოფებოდა.

მეორე ხუთწლედის ბოლოს, 1957 წელს, ადგილების რიცხვი სამბავშვო ბაგებში კიდევ ორჯერ გაიზრდება.

◎ **ალბანეთის** სახალხო რესპუბლიკაში შარშან ორი ათასზე მეტი დაწყებითი სკოლა იყო, მაშინ როცა განათავისუფლებამდე მათი რიცხვი 600-ს აღწევდა, ხოლო არასრული საშუალო და საშუალო სკოლების რაოდენობა რესპუბლიკაში 30-ჯერ გაიზარდა. შექმნილია შვიდი უმაღლესი სასწავლებელი და 12 ტექნიკუმი.

◎ **ბუდაპეშტში** (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა) ბავშვთა ბაგების რიცხვი ომამდელთან შედარებით გაიზარდა ოცდაათჯერ და უფრო მეტად.

უსიხარულო გავშვოგა

◎ სამხრეთ კორეაში სიცოცხლის პირველ წელიწადს იღუპება ბავშვთა ნახევარი.

◎ ნიგერიაში, ნიგერის პროვინციაში აფრიკელ ბავშვთა ნახევარზე მეტი კვდება სანამ 5 წლის ასაკს მიაღწევდეს.

◎ სამხრეთ აფრიკის კავშირში 11 ათასი მოსწავლის გამოკვლევამ ცხადყო, რომ მათი 84 პროცენტი დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამს.

◎ ბრაზილიაში სან-პაულოს მატარასოს საფეიქრო ფაბრიკებში 14 წლის ასობით ბავშვი დღეში 10 საათს მუშაობს ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში. მათი უმრავლესობა დაავადებულია ტუბერკულოზით.

◎ ირანში ბევრი ბავშვი მუშაობს ხალიჩის მრეწველობაში 4 წლის ასაკიდან.

◎ 100 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი კანადაში ყოველ წელიწადს ვერ ამთავრებს საშუალო სკოლას ოჯახის მძიმე მდგომარეობის გამო.

◎ ინგლისის კოლონია კენიაში 5,5 მილიონი აფრიკელისათვის არსებობს მხოლოდ 35 საშუალო სკოლა.

◎ საფრანგეთში ბავშვთა მესამედი უშუალოდ პროფესიულ ცხოვრებას იწყებს 14 წლის ასაკში... ამავე დროს მთელი რიგი საწარმოების კარებზე გამოკიდებულია განცხადება: „17 წლისაზე უხნესი პირები სამუშაოზე არ მიიღებიან".

◎ ავსტრიის გაზეთ „დი პრესეს" ცნობით ვენაში 1914 წლიდან არ აშენებულა არც ერთი ახალი საშუალო სკოლა.

ერთობლივი განცხადება პალმირო ტოლიატისა და იოსიპ ბროზ ტიტოს მოლაპარაკების შესახებ

ბელგრადი, 30 მაისი. (საკ-დესი). დღეს ბელგრადიდან გაფრინდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პალმირო ტოლიატი.

როგორც ბელგრადის რადიო იუწყება, გამგზავრების წინ ტოლიატიმ პრესის წარმომადგენლებს გააცნო ერთობლივი განცხადება მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც ეგი აწარმოებდა ბელგრადში. განცხადებაში ნათქვამია:

იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი პალმირო ტოლიატი იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხანაგ „ლუიჯი ამადეზის თანხლებით იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ესტუმრა ბელგრადს, სადაც დაჰყო 1956 წლის 28-დან 30 მაისამდე. მოლაპარაკების დროს, რომელიც წარმოებდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოსთან იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის სხვა წევრთა მონაწილეობით, და სხვა შეხვედრების დროს მოხდა აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ორივე მხარისათვის, და მომავალი კონტაქტების შესახებ იტალიელ და იუგოსლავ კომუნისტებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. მოლაპარაკება მეგობრულ ატმოსფეროში.

იუგოსლავიაში ტოლიატის ყოფნისადმი მიძღვნილ სტატიაში „სასარგებლო კონტაქტები“ გაზეთი „მორბა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიის კომუნისტურ პარტიასა და იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის აღდგენა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელსაც უნდა მივესალმოთ. სტატიაში გამოთქმულია რწმენა, რომ იტალიის კომუნისტურ პარტიასა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება დადებითს გავლენას მოახდენს ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაზე.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 31 მაისი. (საკ-დესი). ინგლისის პარლამენტის წევრთა ჯგუფმა „ბუშინ თემთა პალატაში წამოაყენა საკითხი სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ, რაც იქნება პასუხი სსრ კავშირის მთავრობის გადწყვეტილებაზე — შეამციროს საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი და შეიარაღება.

პარლამენტის წევრი ლეიბორისტი ვეტორ იეიტსი შეეკითხა თავდაცვის მინისტრს, „გითვალისწინა თუ არა ნან საბჭოთა მთავრობის ამასწინანდელი განცხადება მის გადწყვეტილებაზე შეამციროს შეიარაღებული ძალების რიცხვი 1.200 ათასი კაცით და აპირებს თუ არა ინგლისის მთავრობა ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და გადადგას ანალოგიური ნაბიჯი, კერძოდ, ხელი შეუწყოს სავალდებულო სამხედრო ბეგრის მალე გაუქმებას“.

ასეთივე შეკითხვებით მიმართეს პარლამენტის წევრებმა — ლეიბორისტებმა შინუელმა და დენის ჰაუელმა.

თავდაცვის მინისტრმა მონტგომერიმ უპასუხა, რომ ანგარიშად მას არც შეეძლო გაეკეთოს რაიმე ახალი განცხადება მთავრობის პოლიტიკის შესახებ ამ საკითხში.

ლეიბორისტმა შინუელმა მინისტრის პასუხს „წმინდა ნეგატივური“ უწოდა.

განცხადა რა, რომ ასეთი პასუხი „არაფერს არ იძლევა“, შინუელმა დასძინა: „უდავოა, ვითვალისწინებთ რა საბჭოთა კავშირის ნაბიჯს, სასურველი იქნებოდა გადადგეოდა ანალოგიური ნაბიჯი. უდავოა, ახლა დროა განეცხადოთ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვეხმაურებით ამ ნაბიჯს“.

შინუელის განცხადების პარლამენტის ბევრი წევრი ნოწონების შეძახილებით შეხვდა.

კიმ ირ სენის პასუხი ინდოელი ჟურნალისტის კითხვებზე

ფხენიანი, 31 მაისი. (საკ-დესი). დღეს გამოქვეყნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მარშალ კიმ ირ სენის პასუხი ინდოელი ჟურნალისტის ვ. პრასადის კითხვებზე. უპასუხა რა კითხვაზე, კერძოდ, კორეის გაერთიანების პერსპექტივების შესახებ, კიმ ირ სენმა განაცხადა:

ჩვენ თანმიმდევრულად მოვითხოვთ, რომ კორეის გაერთიანების საკითხი გადაწყდეს უცხოეთის ჩაურევლად. იგი უნდა გადაწყვეტოს კორეელმა ხალხმა დემოკრატიულ საწყისებზე, ურთიერთგაგების საფუძველზე, მოლაპარაკების გზით. ასეთია მთელი კორეელი ხალხის, ყველა კორეელი პატრიოტის ერთსულოვანი სურვილი. სამხრეთ კორეის ხელისუფალნი რომ გამოხმაურებოდნენ კორეელი ხალხის ამ მტკიცე მოთხოვნას, შესაძლებელი იქნებოდა მალე მიგვეღწია კორეის გაერთიანებისათვის.

მაგრამ სამხრეთ კორეის ხელისუფლებს, განაგრძო კიმ ირ სენმა, რომლებიც უფულებელყოფენ კორეელი ხალხის ამ მოთხოვნას და ასრულებენ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილის მოკუპირებელი უცხოელების მითითებებს, უგულვერი პოზიცია უკავიათ. მათ სურთ ძალის დახმარებით მიაღწიონ კორეის გაერთიანებას. მაგრამ ეს არის არარეალური პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.

როგორც კიმ ირ სენმა განაცხადა, სამხრეთ კორეის ხელისუფალნი ვერ შეძლებენ თავიანთი მოქმედებით დაუფლონ გზა კორეის მშვიდობიან გაერთიანებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ კორეის მშვიდობიანი გაერთიანება მიღწეულ იქნება, რამდენადაც ეს მხურვალედ სურს მთელ კორეელ ხალხს და ამას ძოიითხოვენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები.

ამისათვის, რომ დაჩქარდეს კორეის გაერთიანება, ჩვენ მოვითხოვთ უწინარეს ყოვლისა დაზავება კორეაში. გადაიცეს მტკიცე ზავად, გაყვანილ იქნან უცხოეთის მთელი ჯარები სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეიდან, შეიცვალოს შეიარაღებული ძალების რიცხვი სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეაში, უზრუნველყოფილ იქნას სამხრეთ კორეაში დემოკრატიული თავისუფლებანი და ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა, დამყარდეს ფართო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის, შეიქმნას სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებისგან მუდმივი კომიტეტი კორეის გაერთიანების საკითხის განსახილველად. ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის მეტიდროდ დავრაზმოთ ერის მთელი ძალები, თან შორის სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოსახლეობის ყველა ფენის მოდვაწენი.

მწუხარებით აღვნიშნავ, რომ გარკვეული ქვეყნების წინააღმდეგობის შედეგად, რომლებსაც არა სურთ კორეის მშვიდობიანი გაერთიანება, დღემდე ვერ მოეწყო დაინტერესებული ქვეყნების შორეულ აღმოსავლეთის თათბირი აზიის ქვეყნების ფართო მონაწილეობით, თათბირი, რომელიც დადებითს როლს შეასრულებდა კორეის საკითხის მოწესრიგების საქმეში.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საკ-დესი). გუშინ გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც დაიწყო განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ჰამარშელდის მოხსენებისა შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მისი მოგზაურობის შედეგების შესახებ, რაც. მოხდა უშიშროების საბჭოს 4 აპრილის რეზოლუციის შესაბამისად.

ჰამარშელდის მოკლე განცხადებას შემდეგ, რომელშიც მან ამედი გამოთქვა, რომ შეიძლება მიღწეულ იქნას მშვიდობიანი მოწესრიგება, ინგლისის წარმომადგენელმა დიჭონმა თავისი დელეგაციის სახელით საბჭოს განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი.

პროექტში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „დაზავების შესახებ შეთანხმების მონაწილეებმა რაც შეიძლება მალე უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უკვე შეთანხმებულია გენერალურ მდივანთან, და უნდა ითანამშრომლონ გენერალურ მდივანთან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბის უფროსთან, რათა განახორციელონ ნათი შემდგომი პრაქტიკული წინადადებანი, უშიშროების საბჭოს 4 აპრილის რეზოლუციის შესაბამისად, ამ რეზოლუციის სრული განხორციელებისა და დაზავების შესახებ შეთანხმებათა სრული დაცვის მიზნით“.

რეზოლუციის პროექტი მხარს უჭერს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „დაზავების შესახებ შეთანხმებათა სრული დაცვის აღდგენა წარმოადგენს ეტაპს, რომელიც განვლილ უნდა იქნას იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს პროგრესი იმ ძირითადი საკითხების გადაჭრაში, რომლებიც იწვევენ დავას მხარეებს შორის“.

პროექტი შეიცავს თხოვნას შტაბის უფროსისადმი კვლავ თვალყურები აღვევნოს ცეცხლის შეწყვეტას უშიშროების საბჭოს 1949 წლის 11 აგვისტოს რეზოლუციის შესაბამისად.

რეზოლუციის პროექტი შემდეგ „მოუწოდებს დაზავების შესახებ შეთანხმების მონაწილე მხარეებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ამ რეზოლუციის (ინგლისის პროექტის. — რედ.) შესასრულებლად“ და „სთხოვს გენერალურ მდივანს განაგრძოს თავისი შუამავლობა მხარეებს შორის და წარმოუდგინოს შესაბამისი მოხსენება უშიშროების საბჭოს“.

ინგლისის რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ავსტრალიის, ირანის, კუბისა და პერუს წარმომადგენლებმა. უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება 31 მაისს.

მსოფლიოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში

სტამბოლი, 30 მაისი. (საკ-დესი). გუშინ სტამბოლში დაიწყო მსოფლიოს თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ 16 ქვეყნის მოჭიდავეთა გუნდები.

პირველ წრეში უმჩატეს. წონაში ნ. სოლოვიოვმა (სსრ კავშირი) ქულებით წაგო ა. საიდთან (ეგვიპტე), მჩატე წონაში ბ. გურევიჩმა (სსრ კავშირი) ქულებით მოუკო უნგრელ ხ. �რეს. ქვემსუბუქ წონაში ვ. სტაშკევიჩმა (სსრ კავშირი) წაიქცია ბულგარელი ს. ბერევი. მსუბუქ წონაში ვ. როსინმა (სსრ კავშირი) ქულებით მოუგო ფინელ კ. ლუტონენს, ქვესაშუალო წონაში ვ. მანეევმა (სსრ კავშირი) წაიქცია იტალიელი ჯ. კ. პალმიერი, საშუალო წონაში გ. კარტოზიამ (სსრ კავშირი) წაიქცია ლიბანელი ი. რამონოსი, ქვემძიმე წონაში ა. ტკაჩევმა (სსრ კავშირი) ქულებით აჯობა იუგოსლავ ბ. კუკიჩს.

მეორე წრეში უმჩატეს წონაში საბჭოთა მოჭიდავემ ნ. სოლოვიოვმა წაიქცია ლიბანელი ა. ნაკლი.

საქართველოს სსრ სპარტაკიადა

სპარტაკიადის ოთხმა დღემ მძაფრ ასპარეზობაში განვლო. ამაზე მეტყველებს გასული შეჯიდრები, ბრძოლის ყოველი ეტაპი, სპორტული მაჩვენებლები. პირველ ჯგუფში უკანასკნელი დღისათვის დამთავრებული იყო შეჯიბრება სპორტის 14 სახეობაში.

31 მაისისათვის პირველ ჯგუფში 74 ქულით წინ იყო თბილისის გუნდი. მეორე ადგილზე იმყოფებოდა აჭარის სპორტსმენთა კოლექტივი (45 ქულა), მესამეზე — აფხაზეთის გუნდი (38,5 ქულა).

წყალში ხტომა, ცურვა

კიროვის სახელობის ჩარჯნმშენებელი ქარხნის საცურავ აუზში დამთავრდა შეჯიბრება წყალში ხტომაში. ამ შეხვედრებში თბილისის სპორტსმენთა კოლექტივმა 916 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დიკავა. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს აჭარისა და აფხაზეთის გუნდებმა. პირად ასპარეზობაში უძლიერესენი აღმოჩნდნენ: ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში — ტ. ინწკირველი, კოშკურიდან ხტომაში — რ. დიაჩენკო, ვაჟთა შორის — გ. გასპარიანი და ბ. პოლულიახი. შეჯიბრების მონაწილეთა შორის 8 სპორტსმენმა აჩვენა პირველი თანრიგის შედეგი.

ცურვაში დამატებით გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები. ესენი არიან ვ. რომანოვი (დელფინის სტილით 200 მეტრზე ცურვა), ლ. კრილოვა (ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვა), ვ. სორტნიკოვი (ზურგზე ცურვა 200 მეტრზე), ა. ტულუპოვი (1.500 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვა), ვ. ნიკიტინი (200 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვა) და თბილისის გუნდები (ამნათცურვა 4×100 და 4×200 მეტრზე). გუნდურ ასპარეზობაში 22.525 ქულით პირველი ადგილი თბილისის გუნდმა დაიკავა.

ხუთჭიდი, ფარიკაობა

თანამედროვე ხუთჭიდის მონაწილე სპორტსმენებმა დამთავრეს შეჯიბრება 4 სახეობაში (ცხენსნობა, ფარიკაობა, სროლა, ცურვა). პირველ ჯგუფში წინ არის თბილისის გუნდი, მეორე ჯგუფში — რუსთაველის სპორტსმენთა კოლექტივი. პირად შეჯიბრებაში წინ არიან ბ. პეკოვი, გ. კალმახელიძე და რ. მანჯავიძე.

ფარიკაობის სხვადასხვა სახეობაში კარგი შედეგები აქვთ ი. ესაიაშვილს, გ. კოკალეიშვილს, ა. ასათიანს და სხვ.

ქართული ჭიდაობა, ტანვარჯიში

დამთავრდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ჯგუფებში „გაიმარჯვეს თბილისის, გორისა და კასპის გუნდებმა. წონითი კატეგორიის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს ი. ჩქარეულმა, ლ. კაციაშვილმა, ტ. ელერდაშელმა, გ. სულაშვილმა, ნ. მუჩაიურმა, ს. მაისურაძემ, ა. ვარდოევმა, ბ. ჩიკვაიძემ.

ტანვარჯიშე ქალთა ასპარეზობაში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ჯუღელი (82,9 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა გ. ზარაბიძე (82,55 ქულა), მესამეზე — ტ. კომისარენკო (82,5 ქულა). პირველთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის გაიმარჯვა ტ. კრკოკეკმ (სამხრეთ ოსეთი).

ქალათბურთი, ფრენბურთი

ქალათბურთში 30 მაისს გამართულ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ქალთა გუნდები — რუსთავი-სამხრეთ ოსეთი, ფოთი-გორი 24:40, 39:75; ვაჟთა გუნდები — ჭიათურა-ფოთი, წყალტუბო-სამხრეთ ოსეთი, რუსთავი-გორი 64:95, 67:35, 56:134.

ფრენბურთელთა ასპარეზობაში პირველი ჯგუფიდან გაიმარჯვეს თბილისის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა, მეორე ჯგუფში — რუსთავის გუნდებმა.

მძლეოსნობა, ველოსიპედი

მძლეოსანთა ასპარეზობა. როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ჯგუფში გაიმარჯვა სამხრეთ ოსეთმა, მესამეში — ზუგდიდმა. უკანასკნელ დღეს კიდევ რამდენიმე ახალი ჩემპიონი გამოვლინდა: ბადროს ტყორცნაში — ლ. სესაძე, დაბრკოლებებით 3.000 მეტრზე რბენაში — ვ. ვაშაკიძე, უროს ტყორცნაში — ა. მურავიოვი, 400 მეტრზე რბენაში — ნ. ნარჩენკო, სამმაგ ხტომაში — ო. თაყაიშვილი, 10.000 მეტრზე რბენაში — ი. უშაკოვი, ხუთჭიდში — ე. ჯუგურავა, ათჭიდში — ა. მამონოვი, სიგრძეზე ხტომაში — ნ. სუვერნოვა.

30 მაისს ველოსიპედისტები (მესამე ჯგუფი) ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 20 და 50 კილომეტრზე რბოლაში. ამ შეჯვდრებში დაწინაურდნენ ზუგდიდელი სპორტსმენები.

ასპარეზობის დასკვნითი დღე

31 მაისი საქართველოს სსრ სპარტაკიადის უკანასკნელი დღე იყო. სპორტის ზოგიერთ სახეობაში გვიან საღამომდე გრძელდებოდა შეჯიბრება, გამოვლინდა ახალი ჩემპიონები.

გუშინ დამთავრდა შეჯიბრება ტყვეის სროლაში. გუნდური ადგილები პირველ ჯგუფში განაწილდა შემდეგი თანმიმდევრობით: ჩემპიონი გახდა თბილისის მსროლელთა კოლექტივი, რომელმაც 32 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზეა აჭარა, მესამეზე — ქუთაისი, მეოთხეზე — აფხაზეთი.

ამ დღეს დამთავრდა აგრეთვე შეჯიბრება ხუთჭიდში. პირველ ჯგუფში 11.447 ქულით გაიმარჯვა თბილისის გუნდმა, მეორე ჯგუფში — რუსთავის სპორტსმენთა კოლექტივმა. პირად ასპარეზობაში საუკეთესო შედეგები მოიპოვეს ა. პეკოვმა, რ. მანჯავიძემ და ვ. კალმახელიძემ.

ტანმოვარჯიშეთა შეხვედრები, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ლენინის სასპორტო დარბაზში თბილისელ სპორტსმენთა მორიგი გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზეა ქუთაისი, მესამეზე — აფხაზეთი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს აგრეთვე ფარიკაობაში. დაწინაურა და ელასტიური ხიმტით ბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს გ. გოგელიამ და ო. ენდელაძემ.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

30 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

საერთაშორისო ოსტატმა გურფინკელმა სამი გადადებული პარტიიდან გათამაშების ცხრილში მხოლოდ ნახევარი ქულა ჩაიწერა — წაგო ანიშჩენკოსთან, ვაისბერგთან და ყაიმით დაამთავრა პარტია ტოგონიძესთან.

როიტარეზ მოუგო ტოგონიძეს, სტრანდსტრემმა — გრუდზინსკაიასა და ხაჭაპურაძეს, სილვესტრმა — ნეკრასოვას, მატვეევამ — ნეკრასოვას. ტიხომიროვა თამაშის განუახლებლად დანებდა ნეველდომსკაიას. როიტარეს-ტრანდსტრემისა და სილვესტრ-მიხაილოვას პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გუშინ გაიმართა უკანასკნელისწინა მე-14 ტური.

ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ლიდერების გაფრინდაშვილისა და მატვეევას პარტიისადმი, სადაც საინტერესო და მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. ეს პარტია არ დამთავრებულა, გადადგა. გაფრინდაშვილს მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს.

ამ დღეს ტიხომიროვამ მოუგო გრუდზინსკაიას, მიხაილოვამ — ნეკრასოვას, ტოგონიძემ — ხაჭაპურიძეს, ანიშჩენკომ — ნეველდომსკაიას, კარტულმა — გურფინკელს. როიტარე-ვაისბერგი ყაიმზე შეთანხმდნენ. სტრანდსტრემ-სილვესტრის პარტია გადაიდო.

14 ტურის შემდეგ წინ არიან — გაფრინდაშვილი (10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ტოგონიძე (9 ქულა), მატვეევა (8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ტიხომიროვა (8,5 ქულა).

დიდი მოგება

30 მაისს თბილისში 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ტირაჟის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ კალინინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში ერთ-ერთმა მოქალაქემ წარადგინა ამ სესხის 200-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 50.000 მანეთი მოგება.

ამა წლის 2-3 ივნისს ამერიკაკავკასიის რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექპროპაგანდის სახლის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 127-ა) აწყობა ახალგაზრდა არქიტექტორთა და მშენებელთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირთან დაკავშირებით 1 ივნისს დღის 1 საათზე იმავე შენობის ფოიეში გაიხსნება ახალგაზრდა არქიტექტორთა და მშენებელთა ნამუშევრების გამოფენა.

სტალინგრადში 6% სამშენებლო მოგებიანი სესხი

ტირაჟის შედეგები

მოგებათა 51-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1956 წლის 30 მაისს ქალაქ თბილისში.

მოგება ხვდა სესხის რვავე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება ანბანთაბით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება ანბანთაბით
000144	39*)	25000	050496	01*)	10000
000709	34*)	50000	050749	14*)	5000
000827	1—50	1000	050911	39*)	5000
001262	26*)	5000	050912	1—50	400
001267	1—50	400	051571	11*)	5000
001408	50*)	5000	051756	13*)	5000
001610	1—50	1000	052152	1—50	400
001868	1—50	400	052188	1-50	1000
002220	1—50	400	052342	09*)	10000
003418	37*)	5000	052722	1—50	400
003427	10*)	5000	052857	48*)	5000
003985	44*)	5000	053532	30*)	5000
004547	1—50	1000	055380	26*)	10000
006820	35*)	5000	055741	06*)	10000
007076	17*)	5000	057125	20*)	10000
007086	1—50	400	057940	31*)	5000
007093	39*)	5000	058399	10*)	10000
008017	44*)	5000	059298	1—50	1000
009701	1—50	400	060106	34*)	5000
009980	1—50	400	061482	17*)	10000
010413	03*)	5000	061829	1—50	400
010742	35*)	5000	062911	01*)	5000
010825	11*)	25000	063093	1—50	1000
011128	19*)	5000	065147	38*)	10000
011178	25*)	10000	065286	30*)	5000
011578	1—50	400	065427	1—50	400
011828	1—50	400	066333	29*)	5000
011925	1—50	400	069809	20*)	5000
012458	20*)	5000	070134	1—50	400
012673	10*)	5000	070806	30*)	10000
012719	30*)	10000	070808	1—50	400
014610	32*)	5000	071480	01*)	5000
014798	27*)	5000	073309	1—50	400
015208	11*)	10000	074600	24*)	5000
015584	33*)	5000	075315	32*)	25000
015652	1—50	1000	075402	1—50	400
016004	22*)	5000	075521	1—50	400
017181	1—50	400	076633	44*)	5000
017480	42*)	5000	076922	32*)	10000
018637	1—50	400	077281	42*)	50000
019447	14*)	5000	077585	44*)	5000
019935	19*)	5000	078280	37*)	5000
020103	31*)	10000	078662	26*)	5000
022019	27*)	5000	079482	39*)	10000
022080	45*)	10000	079994	46*)	5000
022834	23*)	10000	080731	1—50	1000
024544	1—50	400	080851	1—50	400
025373	39*)	10000	081151	57*)	5000
026984	46*)	10000	081154	26*)	5000
028062	07*)	5000	081740	04*)	10000
028520	50*)	5000	083301	1—50	400
028541	43*)	5000	083614	16*)	5000
028609	1—50	400	083848	59*)	5000
028923	39*)	5000	084430	1—50	1000
029604	42*)	5000	084452	20*)	5000
029891	57*)	5000	084866	1—50	1000
030171	1—50	1000	084955	34*)	5000
030338	41*)	5000	085498	12*)	5000
031326	1—50	400	085557	1—50	400
031784	46*)	10000	085625	24*)	5000
032090	1—50	400	085934	41*)	5000
032405	1—50	400	086169	31*)	5000
032453	1—50	1000	087329	1—50	400
032525	37*)	5000	087533	1—50	400
033216	1—50	1000	087824	1—50	400
033221	27*)	5000	087925	1—50	1000
034342	37*)	5000	088008	1—50	400
034933	1—50	400	088401	29*)	10000
035915	1—50	400	088457	49*)	5000
036921	1—50	400	088792	07*)	10000
037245	1—50	400	091619	13*)	5000
038002	45*)	25000	091660	14*)	5000
039880	37*)	5000	091933	32*)	5000
040649	1—50	400	092438	08*)	5000
041645	1—50	400	093034	1—50	400
042857	32*)	10000	093575	24*)	5000
043287	1—50	400	094959	19*)	5000
043791	1—50	400	095670	1—50	400
045807	09*)	5000	095675	43*)	5000
046004	38*)	5000	095713	22*)	5000
046410	50*)	5000	095995	16*)	5000
047176	38*)	5000	096252	40*)	25000
047521	03*)	5000	096433	15*)	5000
048668	1—50	400	096849	26*)	5000
050310	01*)	5000	097039	29*)	10000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ორასმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

მოგების თანხაში შედის მოგებახვედრილი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც შემნახველი სალაროები ანაღდებენ მოგებას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. მაღლაძე.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი მ. სმირნოვა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

იუგოსლავიის კინოფილმების ფესტივალი

28 მაისიდან 3 ივნისამდე მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში ტარდება იუგოსლავიის კინოფილმების ფესტივალი. ფესტივალზე უჩვენებენ 6 საუკეთესო ფილმს: „მდევარი“, „დაღუპული ცხოვრება“, „ქალაშვილი და მუხა“, „საეჭვო პიროვნება“, „ისინი ორნი იყვნენ“ და „გადამწყვეტი წუთები“. თბილისში ფესტივალი მიმდინარეობს რუსთაველის სახელობის კინოთეატრში.

იუგოსლავიის კინოხელოვნება მეტად ახალგაზრდაა. იგი შეიქმნა 1944 წელს იუგოსლავიის განთავისუფლების შემდეგ. პირველი მხატვრული ფილმი, რომელიც 1946 წელს იქნა გამოშვებული, მიეძღვნა იუგოსლაველი ხალხის სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ამჟამად იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკას აქვს თავისი კინოსტუდია. ბელგრადში ორი სტუდიაა „ავალა-ფილმი“ და „უფუსი“ — სერბიის კინოშუშკთა გაერთიანება.

თუ როგორი სწრაფი ტემპით ვითარდება იუგოსლავიის კინომრეწველობა, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მარტო შარშან გამოშვებულ იქნა 15 მხატვრული კინოფილმი, ასამდე დოკუმენტალური სურათი და 52 ნომერი ეკრნალი „უკანასკნელი ცნობები“.

იუგოსლავიაში არის სპეციალური კინოსტუდია დოკუმენტალური ფილმებისათვის.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ საბჭოთა და იუგოსლავიის კინოხელოვნების მუშაკებმა ერთად გამოუშვან მხატვრული ფილმი ლეონიდ არუნოვი სახალხო გმირის — ოლეკო დუნდიჩის ცხოვრების შესახებ.

28 მაისს იუგოსლავიაშიც დაიწყო საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი.

ფესტივალის დღეებში დემონსტრირებულ იქნება საბჭოთა კინოსურათები: „დედა“, „ოტელო“, „ერთგულების გამოცდა“, „რომეო და ჯულიეტა“, „ხტუნია“, „ჯარისკაცი ივანე ბრავკინი“, აგრეთვე მთელი რიგი დოკუმენტალური ფილმები.

პირველ დღეს ბელგრადის კინოთეატრ „კოზარაში“, სადაც სახეიმოდ გაიხსნა საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი, უჩვენეს მხატვრული ფილმი „დედა“.

იუგოსლავიის კინემატოგრაფიამ მოკლე ხნის განმავლობაში შექმნა მთელი რიგი მაღალიდეური და პოლიტიკურად მახვილი ფილმები, რომლებშიც ასახულია იუგოსლავიელი ხალხის გმირული ბრძოლა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ და ომისშემდგომი წლების თავდადებული შემოქმედებითი შრომა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა მაყურებელმა ნახა ორი იუგოსლავური ფილმი „ქალაშვილი“ და „კონცერტი“. ფესტივალის პირველ დღეს თბილისში უჩვენეს ახალი მხატვრული ფილმი „დაღუპული ცხოვრება“, სურათი გადაღებულია სერბიელი მწერლის ს. ჩოროვიჩის რომანის „სტოიან ძუტიკაშას“ მიხედვით (სცენარის ავტორი და რეჟისორია თ. ხანჟეკოვიჩი).

ფილმი მოგვითხრობს უბრალო სოფლელი ჭაბუკის სტოიანის ცხოვრების ისტორიას. სტოიანი ქალაქში მიდის ლუკმაპურის საშოვნელად. მალე მას იპყრობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში გამეფებული მახინჯი იდეალი — გამდიდრების დაუცხრომელი წყურვილი. ის თანდათანობით ხდება ანგარიშიანი საქმოსანი, რომლისთვისაც ამ ქვეყნად აღარაფერი არ არსებობს წმიდათა-წმიდა და ფულის შეძენის გულისთვის მსხვერპლად სწირავს თავის პირველ სიყვარულსაც.

ადამიანთა ურთიერთ მტრობამ და მძაფრმა კონკურენციამ, რომელიც გამეფებულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, იმსხვერპლა სტოიანი.

ფილმი მაღალი რეჟისორული ო